

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური
დაცვის სამინისტრო


დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ჯანმრთელობის დაცვა

სტატისტიკური ცნობარი

2013

საქართველო



თბილისი
2014

ცნობარი მომზადებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების და სხვა უწყებების სამმდიცინო დაწესებულებების სტატისტიკური ანგარიშების საფუძველზე. ცნობარში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დამოუკიდებელი მონაცემები.

ცნობარი მომზადდა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამმდიცინო სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ.

- ავტორთა ჯგუფი:
- ა. გამყრელიძე
 - ბ. კერესელიძე
 - გ. ცინცაძე
 - დ. ლაბაშიძე
 - ე. შახნაჯაროვა
 - ვ. ცეცხლაძე
 - ზ. ბრძელიძე
 - ი. კოჩაროვა
 - ს. შახბუღაბიანი
 - ე. გოგინაძე
 - ლ. ხუჭუა
 - ლ. ცერცვაძე

განსაკუთრებული მადლობა მრავალწლიანი თანამშრომლობის და ცნობარის გამოსვლაში მხარდაჭერისთვის გაქროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისს და კირადად ოფისის ხელმძღვანელს ქალბატონ ლელა ბაქრაძეს.

გამოქვეყნებული მასალებით სარგებლობის და მათი რეპროდუქციისთვის სპეციალური ნებართვა საჭირო არ არის. სასურველია წყაროს მითითება.

გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართეთ უმედეგ მისამართზე:

თბილისი, ასათიანის ქ. №9, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

ტელეფონი: (995 32) 239 80 49, ფაქსით 217, 205

E-mail: statistics@ncdc.ge

ცნობარი განთავსებულია: www.ncdc.ge

ცნობარი გაიცემა უფასოდ

წინასიტყვაობა

სტატისტიკური ცნობარი “ჯანმრთელობის დაცვა” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოველწლიური გამოცემაა, რომელშიც წარმოდგენილია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და ჯანდაცვის რესურსების ამსახველი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები. ცნობარი გამოიცემა 1996 წლიდან.

ცნობარი მომზადებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ დარგობრივი სტატისტიკური ანგარიშების საფუძველზე.

მონაცემები წარმოდგენილია აკადემიკოსობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების სამართაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მმ-10 გადახედვის შესაბამისად.

ცნობარში მოყვანილი მაჩვენებლების გამოსათვლელად გამოყენებულია გაეროს და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგია, რაც განაკვირვებს საქართველოს მაჩვენებლების შედარებადობას სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან.

ცნობარში წარმოდგენილია ათასწლეულის განვითარების საქართველოს მიზნები და ინდიკატორები, განხილულია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლები და მონაცემები და მაჩვენებლები გადაადგილები და არაგადაადგილები დაავადებების კლასების მიხედვით: ინფექციური და პარაზიტული, ონკოლოგიური, სისხლის მიმოქცევის სისტემის, ენდოკრინული, სუნთქვის ორგანოთა, შარდსასქესო სისტემის, ფსიქიური და ქცევითი აშლილობები და სხვა.

შინაარსი

- თავი 1 ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ათვისებული განვითარების მიზნები**
წონანაკლებობის გავრცელება 5 წლამდე ასაკის ბავშვებში
ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა
12-23 თვის ასაკის ბავშვთა ფითელას სანაწარმადგომო აცრით მოცვა
დედათა სიკვდილიანობა
კვალთმედიური სამედიცინო პერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების წილი
კონტრაცეპციის გავრცელების დონე
მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი
ანთენატალური მომსახურებით მოცვა
ოჯახის დაბეჭდვის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები
აივ ინფექციის გავრცელება 15-24 წლის მოსახლეობაში
ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფ აივ ინფექციის მქონე პირთა რაოდენობა
კონტრაცეპციის გამოყენება ბოლო სქესობრივი აქტის დროს
მაღარის ინციდენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი
ტუბერკულოზის ინციდენტობა, პრევალენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი
- თავი 2 დემოგრაფია**
მოსახლეობა
შობადობა
სიკვდილიანობა
ბუნებრივი მატება
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა
- თავი 3 მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება**
ჯანდაცვის სისტემის კაღრები
ჯანდაცვის ქსელი
- თავი 4 მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა**
ინფექციური ავადმყოფობები
ფილტვის და ფილტვებარე ტუბერკულოზი
აივ-შიდსი
ფითელა
ვისცერული ლეიშმანიოზი
ვირუსული ჰეპატიტი B და C
არაგადადები ავადმყოფობები
სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები
ჰიპერტენზიული ავადმყოფობა
გულის იშემიური ავადმყოფობები
ცერებრალური ავადმყოფობები
ავთვისებიანი სიმსივნეები
სარკვე ჯირკვლის ათვისებიანი ახალწარმოქმნილი
საშვილოსნოს ყელის კიბო
ტრაქეა, ბრონქების და ფილტვის კიბო
წინამდებარე ჯირკვლის კიბო
კოლორექტუმის კიბო
ენდოკრინული სისტემის ავადმყოფობები
დიაბეტი
სასუნთქ სისტემის ავადმყოფობები
რესპირაციული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობები (CRD)
ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობა (COPD)
ასთმა
ტრაქეა, ბრონქები და გარეგანი მიჯნების ზემოქმედების წიგნითი
შედეგები
- თავი 5 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა**
- თავი 6 ჯანმრთელობის ძირითადი დემოგრაფიული ცხრილები**

ცხრილების სარჩევი

თაბი 1 ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ათვისებული განვითარების მიზნები

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა	ცხრილი 1.1 - 1.5	გვერდი 74
12-23 თვის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა	ცხრილი 1.6	გვერდი 75
დღეღამე სიკვდილიანობა	ცხრილი 1.7 – 1.8	გვერდი 75
კვალთმეობის სამედიცინო კონსულტაციის მიერ მიღებული მშობიარობების ხარისხითი წილი	ცხრილი 1.9	გვერდი 75
მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი	ცხრილი 1.10	გვერდი 75
ანტიბიოტიკების მოხმარებით მოცვა (4 პიკიტი მაინუს და უკიდურეს შემთხვევაში პრევიზიტი)	ცხრილი 1.11	გვერდი 76
აივ ინფექციის ინციდენტობის მაჩვენებელი	ცხრილი 1.12 - 1.13	გვერდი 76
მაღარიის ინციდენტობის მაჩვენებელი	ცხრილი 1.14	გვერდი 77
ტუბერკულოზის ინციდენტობისა და პრევალენტობის მაჩვენებელი	ცხრილი 1.15 - 1.16	გვერდი 77

თაბი 2 დემოგრაფია

მოსახლეობა	ცხრილი 2.1 - 2.4	გვერდი 78 - 80
შობადობა	ცხრილი 2.5 - 2.9	გვერდი 80 - 82
სიკვდილიანობა	ცხრილი 2.10 - 2.15	გვერდი 83 - 86
ბუნებრივი მატება	ცხრილი 2.16	გვერდი 87
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა	ცხრილი 2.17	გვერდი 87

თაბი 3 მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

ჯანდაცვის სისტემის კაღრები	ცხრილი 3.1 - 3.4	გვერდი 88 - 89
ჯანდაცვის სისტემის ძსელი	ცხრილი 3.5	გვერდი 90
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებები	ცხრილი 3.6 - 3.9	გვერდი 90 - 91
პროფილაქტიკური აცრები	ცხრილი 3.10	გვერდი 91
პროფილაქტიკური განიხილვები	ცხრილი 3.11	გვერდი 92
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების ძირითადი მუშაობა	ცხრილი 3.12	გვერდი 92
სასწრაფო სამედიცინო დახმარება	ცხრილი 3.13 – 3.15	გვერდი 93
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ამბ-პოლიკლ. მომსახურება	ცხრილი 3.16	გვერდი 94
სტაციონარული დაწესებულებები და მომსახურება	ცხრილი 3.17 – 3.24	გვერდი 94 - 97
პათოლოგანატომიური სამსახური	ცხრილი 3.25	გვერდი 98
ძირუბრები	ცხრილი 3.26 - 3.36	გვერდი 98 - 103
დახმარებ განყოფილებები, კაბინეტები	ცხრილი 3.37 - 3.45	გვერდი 104 - 107
ჩვილ ბავშვთა სხსლები	ცხრილი 3.46	გვერდი 108

თაბი 4 მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა

აკადობა	ცხრილი 4.1 - 4.5	გვერდი 110 - 113
ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	ცხრილი 4.6 - 4.35	გვერდი 114 - 126
შეტუბინებას დაკავშირებული ავადმყოფობები	ცხრილი 4.8 - 4.9	გვერდი 115 - 116
ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების სტაციონარული მომსახურება	ცხრილი 4.10 - 4.12	გვერდი 117 - 118
ტუბერკულოზი	ცხრილი 4.13 - 4.21	გვერდი 118 - 121
აივ-ჰიდისი	ცხრილი 4.22 - 4.25	გვერდი 121 - 122
პირუსული კეპატიტები A, B და C	ცხრილი 4.26- 4.28	გვერდი 123
ნაწლავური ინფექციები	ცხრილი 4.29 - 4.30	გვერდი 124
სქესობრივი გზით გადადები დაავადებები	ცხრილი 4.31- 4.33	გვერდი 125
სოკოვანი დაავადებები და მუნი	ცხრილი 4.34 - 4.35	გვერდი 126
არაბადავადები ავადმყოფობები	ცხრილი 4.36 – 4.156	გვერდი 127 - 183
სიმსივნეები	ცხრილი 4.36 - 4.56	გვერდი 127 - 136
სისხლის და სისხლგამადი ორგანოები	ცხრილი 4.57 - 4.63	გვერდი 137 - 139
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	ცხრილი 4.64- 4.75	გვერდი 139 - 144
ფსიქიკური და სმევიტი აშლილობები	ცხრილი 4.76 - 4.83	გვერდი 144 - 148
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	ცხრილი 4.84- 4.95	გვერდი 148 - 152
თვალისა და მისი დანაბატების ავადმყოფობები	ცხრილი 4.96 - 4.104	გვერდი 152 - 156
ყურისა და დორილისებრი ორგანის ავადმყოფობები	ცხრილი 4.105 - 4.112	გვერდი 156 - 158
სისხლის მიმოქცემის სისტემის ავადმყოფობები	ცხრილი 4.113- 4.123	გვერდი 159 - 163
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	ცხრილი 4.124 - 4.132	გვერდი 163 - 168
საჭმლის მომკვამელი სისტემის ავადმყოფობები	ცხრილი 4.133 - 4.138	გვერდი 168 - 171
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	ცხრილი 4.139 - 4.146	გვერდი 171 - 175
თანდაყოლილი ანომალიების (განვითარების მანკები), დეფორმაციების და პროგრესული დარღვევები	ცხრილი 4.147 - 4.153	გვერდი 176 - 180
ტრავმატი, მოწავევები და გარეგანი მიზეზების შემთხვევების ზოგიერთი სხვა შედეგი	ცხრილი 4.154 - 4.158	გვერდი 181 - 183

თაბი 5 დღეღამე და ბავშვთა ჯანმრთელობა

დღეღამე და ბავშვთა ჯანმრთელობა	ცხრილი 5.1 - 5.15	გვერდი 184 - 190
--------------------------------	-------------------	------------------

თაბი 6 ჯანმრთელობის ძირითადი დეტერმინანტები

მიგრანტთა ჯანმრთელობის კვლევის ანგარიში: ჯანმრთელობის ძირითადი დეტერმინანტები	ცხრილი 6.1 - 6.2	გვერდი 191
---	------------------	------------

თავი 1.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ათასწლეულის განვითარების მიზნები

2000 წელს მიღებულმა „გაეროს ათასწლეულის დეკლარაციამ“, რომელიც 2015 წლამდე სიღარიბისა და მისი გამომწვევი მიზეზებისა და გამოვლინებების დაძლევის ფართომასშტაბიან პროგრამას წარმოადგენს, ათასწლეულის დეკლარაციის ხელმძღვრ ყველა ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, დააკისრა ვალდებულება უზრუნველყოს ათასწლეულის განვითარების მიზნების ასახვა ეროვნული განვითარების სტრატეგიებში და მიზნების განხორციელების სტატუსის შესახებ თითოეული მიზნისათვის შემუშავებული კონკრეტული ამოცანებისა და მათი შესრულების პროგრესის შეფასების ინდიკატორების მეშვეობით პერიოდული ანგარიშგების წარმოება.



მიზანი 1

უკიდურესი სიღარიბისა და უიმუილის აღმოფხვრა

ამოცანა: *იმუილზე აღამიანთა რაოდენობის განახევრება*

ინდიკატორი

- *წონანაკლულობის გავრცელება ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში*

წონანაკლულობის გავრცელება ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში

საქართველოში ბავშვებში **წონანაკლულობის** პრობლემის შეფასება კვლევების მეშვეობით ხორციელდება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ჩატარდა:

- მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) - 2005 წელს;
- ნუტრიციის ეროვნული, მრავალდარგობრივი კვლევა - 2009 წელს.

კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში ბავშვთა ზრდის მაჩვენებლები ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ სტანდარტს შეესაბამება.



მიზანი 4

ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება

ამოცანა 10: *1990-2015 წლებში 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის 2/3-ით შემცირება*

ინდიკატორები


- *ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა*
- *12-23 თვის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა*

სუთ ზლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა*

საქართველოში სიკვდილიანობის მონაცემთა ძირითად წყაროს სტატისტიკის ეროვნული სამსახური წარმოადგენს. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 2000 წლიდან **0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი** 1000 ცოცხალშობილზე კლების დინამიკით ხასიათდება (სურათი 1.1).

ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ მონაცემთა ალტერნატიულ წყაროებს წარმოადგენს: ბავშვთა სიკვდილიანობის შეფასების გაეროს სააგენტოთაშორისი ჯგუფი (IGME), დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დკსჯეც) სამედიცინო სტატისტიკა და კვლევები. სამედიცინო სტატისტიკის მონაცემებით, 2013 წელს 0-5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე დემოგრაფიული სტატისტიკის ოფიციალურ მაჩვენებელზე ნაკლებია. გაეროს სააგენტოთაშორისი ჯგუფის უკანასკნელი შეფასებით, 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის მნიშვნელობა წლების მანძილზე სტაბილურად მცირდება და 2013 წელს მაქსიმალურად მიუახლოვდა ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს (სურათი 1.1).

სურათი 1.1 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო



5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო


	2000	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
დაავადებათა კონტროლის ცენტრი	27.2	20.3	20.1	19.4	19.7	15.6	16.0	15.4	13.4	12.0	12.4	12.0
სტატისტიკის ეროვნული სამსახური	24.9	27.6	26.4	21.1	16.9	14.4	18.0	16.0	13.0	13.8	14.4	13.0
IGME	35.3	28.7	26.5	24.5	22.6	20.8	19.2	17.7	16.4	15.2	14.1	13.1
GERHS	45.8	-	-	25.1	-	-	-	-	16.4	-	-	-

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემებით, კლების ტენდენციის მიუხედავად, 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება, ხოლო

* დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში "დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა".


ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს შორის შუალედურ პოზიციას იკავებს (სურათი 1.2, სურათი 1.3).

სურათი 1.2 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი



წყარო: WHO HFADB

სურათი 1.3 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე




წყარო: WHO HFADB & NCDC Georgia

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გლობალურად 5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევების თითქმის 40% ერთ წლამდე ასაკის ბავშვებზე მოდის. საქართველოში 2013 წელს ეს წილი 87.9%-ს შეადგენდა.

0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველა ზემოაღნიშნული წყაროს მონაცემებით ასევე კლების დინამიკით ხასიათდება (სურათი 1.4).

სურათი 1.4 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე




0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო

	2000	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ღაავადობათა კონტროლის ცენტრი	21.2	18.5	18.0	18.1	18.4	14.1	14.3	14.1	12.0	11.0	10.8	10.5
სტატისტიკის ეროვნული სამსახური	22.5	24.8	23.8	19.7	15.8	13.3	17.0	14.9	11.2	12.1	12.6	11.1
IGME	30.9	25.3	23.5	21.7	20.1	18.6	17.1	15.8	14.6	13.5	12.6	11.7
GERHS	41.6	-	-	21.1	-	-	-	-	14.1	-	-	-

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემებით, **0-1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი** საქართველოში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს შორის შუალედურ პოზიციას იკავებს (სურათი 1.5).

სურათი 1.5 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი




წყარო: WHO HFADB

12-23 თვის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა*

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, წითელათი ავადობის შესამცირებლად და მისი ელიმინაციის მისაღწევად სავალდებულოა ორჯერადი ვაქცინაციით 95% მოცვის მიღწევა/შენარჩუნება და თითოეულ შემთხვევაზე ზედამხედველობის დამყარება, ლაბორატორიული კვლევების ჩათვლით.

ერთი წლის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა 2012 წელს 93%-ს შეადგენდა, 2013 წელს მაჩვენებელმა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ მნიშვნელობას მიაღწია და 96.5% შეადგინა (სურათი 1.6).

სურათი 1.6 ერთი წლის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა (%)



წყარო: NCDC Georgia & WHO HFADB



მიზანი 5

ღელათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება

ამოცანა 11: 1990-2015 წლებში ღელათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის 3/4-ით შემცირება

ინდიკატორები

- ღელათა სიკვდილიანობა
- კვალთმის საშუალებების კონსონანის მიერ მიღებული მშობიარობების სვედრითი წილი
- კონტრაცეპციის გავრცელების დონე
- მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი
- ანთენატალური მომსახურებით მოცვა
- ოჯახის დაზვევების დაუკავშირებელი მოთხოვნები

* დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში “მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა” – ინფექციური ავადმყოფობები.

დედათა სიკვდილიანობა*

საქართველოში მონაცემები *დედათა სიკვდილიანობის* შესახებ რამდენიმე წყაროდან მოიპოვება, კერძოდ: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დემოგრაფიის სამმართველო, დკსჯეც-ის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტი, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტი, გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფი (MMEIG), კვლევები.


ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2003-2008 წლებში კლების დინამიკით ხასიათდებოდა. დედათა სიკვდილიანობის შესახებ მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2009 წლიდან დაიწყო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და დკსჯეც-ის, ხოლო 2013 წლიდან შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის "დედათა და ბავშვთა სიკვდილობის/მკვდრადშობადობის შემთხვევების სავალდებულო შეტყობინების ფორმისა და წესის შესახებ" 2013 წლის №01-30/ნ ბრძანების საფუძველზე მიღებული მონაცემების შეჯერება.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის კვლევის (GERAMOS 2008) მონაცემები მკვეთრად განსხვავდებოდა ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებისგან. კვლევის თანახმად, დედათა სიკვდილიანობის 67.7% სტაციონარებში აღირიცხა. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2011 წელს ჩატარდა დედათა სიკვდილიანობის კვლევა (MMS 2011), რომელიც მოიცავდა 2010 წელს 15-49 წლის ქალების სტაციონარში გარდაცვალების ყველა შემთხვევას. MMS 2011-ის მონაცემები მნიშვნელოვნად მიუახლოვდა ოფიციალურ სტატისტიკას.

გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფი ყოველწლიურად აქვეყნებს დედათა სიკვდილიანობის შეფასებით მაჩვენებლებს, რომლებიც როგორც წესი, განსხვავდება ქვეყნების ეროვნული სტატისტიკისგან. საქართველოში, წლების მანძილზე შეფასებითი მაჩვენებლები საკმაოდ მაღალი იყო, როგორც ოფიციალურ, ასევე კვლევებით მიღებულ მაჩვენებლებთან შედარებით. გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფის 2012 წლის გათვლებით, საქართველოსთვის დედათა სიკვდილიანობის 1990 წლის შეფასებითი მაჩვენებელი 92-ით, ხოლო 2000 წლის მაჩვენებელი 113-ით განისაზღვრა. 2012 წლის შეფასებითი მაჩვენებლის წინასწარი მნიშვნელობა 77-ს შეადგენდა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელდა რიგი აქტივობები და MMEIG-თან აქტიური თანამშრომლობის შედეგად მოხდა შეფასებითი მაჩვენებლების გადახედვა. ამგვარად, 2013 წლის დედათა სიკვდილიანობის შეფასებითი მაჩვენებელი 41-მდე შემცირდა და შესაბამისად მოხდა წინა წლების მაჩვენებლების კორექტირება (სურათი 1.7).


* დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში "დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა"

სურათი 1.7 დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე, საქართველო




ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემებით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლები აღემატება ევროპის, ევროკავშირის და დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნის მაჩვენებლებს (სურათი 1.8, სურათი 1.9).

სურათი 1.8 დედათა სიკვდილიანობის საშუალო მოკრავი მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე



წყარო: WHO HFADB

სურათი 1.9 ღელათა სიკვდილიანობა 100000 ცოცხალშობილზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი




წყარო: WHO HEADB

კვალიფიციური სამედიცინო კერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების სვედრითი წილი

საქართველოში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების მონაცემებით, 1995-1999 და 2000-2004 წლებში ქალების ~8% მშობიარობდა ბინაზე და მათი უმრავლესობა კვალიფიცირებული სამედიცინო დახმარების გარეშე, ხოლო 2005-2009 წლებში ბინაზე მშობიარობების წილი 1.2% შეადგინა.

სამედიცინო სტატისტიკის მონაცემებით, 2013 წელს *სამედიცინო დაწესებულებებში მიღებული მშობიარობების სვედრითი წილი* მაქსიმალურ მნიშვნელობას მიუახლოვდა (99.9%) (სურათი 1.10).

სურათი 1.10 კვალიფიციური სამედიცინო კერსონალის მიერ მიღებული მშობიარობების სვედრითი წილი (%), საქართველო




კონტრაქციის გავრცელების დონე

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების თანახმად, 1995-2009 წლების განმავლობაში საქართველოში კონტრაქციის (მათ შორის თანამედროვე მეთოდების) გავრცელების დონე მატულობდა და 2010 წლის კვლევის მონაცემებით, 32% შეადგინა. კონტრაქციის გამოყენების მაჩვენებლის ზრდა, ძირითადად, თანამედროვე მეთოდების გამოყენების ზრდით (8.9%-ით) იყო განპირობებული.

მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2013 წელს *20 წლამდე ასაკის ქალების შობადობის მაჩვენებელი*, წინა წელთან შედარებით, 2.3%-ით მოიმატა (სურათი 1.11).

სურათი 1.11 მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი 20 წლამდე ასაკის 1000 ქალზე, საქართველო




ანტენატალური მომსახურებით მოცვა

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია ორსულ ქალთა *ანტენატალური მომსახურების* მინიმუმ 4 ვიზიტით მოცვა.

საქართველოში ანტენატალური მეთვალყურეობის შესახებ ინფორმაციის წყაროს სამშობიარო სახლები/განყოფილებები და ქალთა კონსულტაციები წარმოადგენს. სამედიცინო რუტინული სტატისტიკის მონაცემებით, უკანასკნელ წლებში, ანტენატალური მომსახურების 4 სრული ვიზიტით მოცვა მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა და 2013 წლისათვის 84.6% შეადგინა (სურათი 1.12).

**სურათი 1.12 ანტენატალური მომსახურებით მოცვა (%),
4 სრული ვიზიტი, საქართველო**



ოფიციალური რუტინული სტატისტიკის მეშვეობით ვერ აღირიცხება ორსულთა ვიზიტები კერძო პრაქტიკის ექიმებთან, მსგავსი ინფორმაციის მოპოვება მხოლოდ კვლევებით არის შესაძლებელი. ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ბოლო კვლევით მიღებული ანტენატალური 4 ვიზიტით მოცვამ 90%-ს გადააჭარბა.

ანტენატალური მომსახურებით მოცვა (%) კვლევების მონაცემებით

	1995-1999	2000-2004	2005-2009
ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა GERHS			
1 ვიზიტი	90.8	95.4	98.4
4 ან მეტი ვიზიტი	85.3	80.7	90.2
მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა MICS			
1 ვიზიტი	95.3	-	97.4

ოჯახის დაგეგმვის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის დონა

ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების თანახმად, 1995-2009 წლებში საქართველოში *ოჯახის დაგეგმვის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების* მაჩვენებელი შემცირდა.

ოჯახის დაგეგმვის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის დონა (%), GERHS

	1995-1999	2000-2004	2005-2009
15-44 წლის ასაკის ქალები	14.8	10.1	7.7



მიჯანი 6

აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა

ამოცანები

- აივ/შიდსის გავრცელების შეჩერება და უკუპროცესის დაწყება
- მალარიისა და სხვა ძირითადი დაავადებების გავრცელების შეჩერება და უკუპროცესის დაწყება 2015 წლისათვის

ინდიკატორები


- აივ ინფექციის გავრცელება 15-24 წლის ასაკის მოსახლეობაში
- აივ ინფექციის მქონე იმ ადამიანთა სვედრიტი წილი, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე
- კონდომის გამოყენება ბოლო სამსობრივი აქტის დროს
- მალარიის ინციდენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი
- ტუბერკულოზის ინციდენტობა, პრევალენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი

აივ ინფექციის გავრცელება 15-24 წლის ასაკის მოსახლეობაში*

მსოფლიო სტატისტიკით, საქართველო აივ ინფექცია/შიდსის დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს მიეკუთვნება და ამ ქვეყნებს შორისაც ერთ-ერთი ყველაზე ბოლო ადგილი უკავია. 2012 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოში აივ-ინფექციის ინციდენტობის მაჩვენებელმა მთლიან პოპულაციაში 23.2%-ით მოიმატა, 2013 წელს კი დაფიქსირდა ამ მაჩვენებლის კლება 6.8%-ით (სურათი 1.13).

აივ ინფიცირების ერთ-ერთ მაღალი რისკის მქონე ჯგუფს მოზარდები და მოზრდილთა პოპულაციის ახალგაზრდები მიეკუთვნებიან. მსოფლიოში აივ ინფექციის ახალი შემთხვევების ~80% ამ ასაკობრივ ჯგუფებში აღირიცხება.


სურათი 1.13 აივ ინფექციის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე, საქართველო



* დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში "მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა" – ინფექციური ავადმყოფობები.


2013 წელს წინა წელთან შედარებით, როგორც კაცებში, ასევე ქალებში და ორივე სქესის 0-14 და 25+ ასაკობრივ ჯგუფებში ინციდენტობის მაჩვენებლები შემცირებულია, ხოლო ორივე სქესის 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფებში დაფიქსირდა მაჩვენებლების მატება. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს 15-24 წლის კაცებში ინციდენტობის მაჩვენებელი 2,5-ჯერ გაზრდილია წინა წელთან შედარებით (სურათი 1.14). 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ინციდენტობის მაჩვენებელი კაცებში 4,4-ჯერ აღემატება იგივე მაჩვენებელს ქალებში.

სურათი 1.14 აივ ინფექციის ინციდენტობა კაცებში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2012, 2013



ევროპის რეგიონის და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით საქართველოში აივ ინციდენტობის მაჩვენებლები დაბალია (სურათი 1.15).

სურათი 1.15 აივ ინფექციის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე ბოლო ხელმისაწვდომი წელი




წყარო: WHO HFADB

აივ ინფექციის მქონე იმ ადამიანთა სვედრითი წილი, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე

2004 წლიდან საქართველოში აღინიშნება ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფ პაციენტთა რაოდენობის ზრდა. 2013 წელს ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე 2092 პაციენტი იმყოფებოდა (სურათი 1.16). აივ/შიდსის გაეროს პროგრამის შეფასებით, აივ ინფექციის მქონე იმ ადამიანთა სვედრითი წილი, რომლებიც დებულობდნენ ანტირეტროვირუსულ მკურნალობას ჯანმო-ს მიერ რეკომენდებული პროტოკოლის მიხედვით, 31.5%-ს შეადგენს: ქალებში - 43.2%, კაცებში - 27.8%.

სურათი 1.16 ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე მყოფ პირთა რაოდენობა, საქართველო



კონდომის გამოყენება ბოლო სქესობრივი აქტის დროს

არასასურველი ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები ავადმყოფობებისგან, მათ შორის აივ ინფექციისგან, დაცვის მნიშვნელოვან საშუალებას *კონდომის გამოყენება* წარმოადგენს. კონდომის გამოყენების დონის შეფასება მხოლოდ კვლევების მეშვეობით ხორციელდება. საქართველოში ჩატარებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების მიხედვით, კონდომის გამოყენების დონე ბოლო სქესობრივი აქტის დროს საკმაოდ დაბალია, თუმცა 2005-2009 წლებში აღინიშნა მატება.


კონდომის გამოყენება ბოლო სქესობრივი აქტის დროს, GERHS

	1995-1999	2000-2004	2005-2009
15-44 წლის ასაკის ქალები	6.3	5.3	8.3

მაღარიის ინციდენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპული რეგიონის ყველა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, 2005 წელს ტაშკენტის დეკლარაციაზე: “წინ, მაღარიასთან ბრძოლიდან მის ელიმინაციამდე” ხელის მოწერით მაღარიასთან ბრძოლის ვალდებულება აიღო. საქართველოში 2002 წლიდან *მაღარიის ინციდენტობის* მაჩვენებელი მცირდებოდა და 2013 წელს იგი ნულს გაუტოლდა (სურათი 1.17).

სურათი 1.17 მაღარიის ინციდენტობა 100000 მოსახლეზე




წყარო: NCDC Georgia & WHO HFADB

ტუბერკულოზის ინციდენტობა, კრემალენტობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი*

ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, უკანასკნელ წლებში საქართველოში აღინიშნება ყველა ფორმის ტუბერკულოზის გავრცელების და სიკვდილიანობის მაჩვენებლების კლების ტენდენცია. 2013 წელს ახალი შემთხვევების მაჩვენებელი შეადგინა 100000 მოსახლეზე (სურათი 1.18), რაც მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების და უახლოვდება დსთ-ს ქვეყნების მაჩვენებლებს.

* დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში “მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა” – ინფექციური ავადმყოფობები

სურათი 1.18 ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების მარკვებელი 100000 მოსახლეზე



ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევები, საქართველო

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
რეგისტრირებული შემთხვევები	6208	6543	6696	6294	6450	5831	5993	5806	5533	4973	4318
მარკვებელი 100000 მოსახლეზე	143.4	149.7	153.2	143.1	147.0	133.0	135.9	130.4	123.4	110.7	96.2

ტუბერკულოზი, ოფიციალური და უფასავითი მონაცემები, საქართველო

	ოფიციალური სტატისტიკა		ჯანმრთელობის უფასავითი მარკვებულები	
	2012	2013	2012	2013
რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა	4973	4318	6900	7100
მარკვებელი 100000 მოსახლეზე	110.7	96.2	158	163
ახალი შემთხვევები + რეციდივები	3939	3357	5000	5000
მარკვებელი 100000 მოსახლეზე	87.7	74.8	116	116
ტუბერკულოზით გაყოფილი სიკვდილიანობის მარკვებელი 100000 მოსახლეზე	3.9	3.1	4.5	7.0

წყარო: ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

თავი 2.


დემოგრაფია*

მოსახლეობა

2013 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალო წლიურმა რიცხოვნობამ 4487200 ადამიანი შეადგინა, რაც 0.1%-ით ნაკლებია, ვიდრე წინა წელს.

მოსახლეობის 52.3% ქალი, 47.7% კი მამაკაცია (სურათი 2.1). ქალაქის მოსახლეობა 53.7%-ს შეადგენდა.


სურათი 2.1 სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა, საქართველო, 2013



2013 წელს საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა არ შეესაბამებოდა მსოფლიო და ევროპის სტანდარტებს. 15 წლამდე ასაკის ბავშვთა პოპულაცია მოსახლეობის 17.1%-ს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი მთლიანი მოსახლეობის 13.9%-ს შეადგენდა (სურათი 2.2).

* ამ თავში მოყვანილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემები

სურათი 2.2 მოსახლეობის პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით




ზოგადობა

2007-2010 წლებში ქვეყანაში აღინიშნა ცოცხალშობილთა რაოდენობის ზრდა. 2011-2012 წლებში ცოცხალშობილთა რაოდენობის შემცირების შემდგომ კვლავ დაფიქსირდა ცოცხალშობილთა რაოდენობის მატება - 2013 წელს საქართველოში დაიბადა 57878 ცოცხალშობილი. ცოცხალშობილთა 57.0% ქალაქის, 43.0% - სოფლის მცხოვრები იყო. დაბადების რიგითობის მიხედვით პირველ ბავშვზე ცოცხალშობილთა 45.3%, მეორე ბავშვზე - 38.1%, ხოლო მესამეზე - 12.8% მოდიოდა.


უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში აღინიშნებოდა *სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობის* დარღვევა. 2009 წლიდან სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა ნორმას მიუახლოვდა. 2013 წლის მონაცემების მიხედვით, თანაფარდობა წინა წელთან შედარებით შემცირდა (სურათი 2.3).

სურათი 2.3 სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა, საქართველო



ცოცხალშობილების საერთო რაოდენობაში 20 წლამდე ასაკის ქალების მიერ გაჩენილ ცოცხალშობილთა წილი 2001-2009 წლებში მაღალი იყო (12%-15%), 2010 წლიდან ეს წილი შემცირდა და 2013 წელს 9.4% შეადგინა (სურათი 2.4). ცოცხალშობილთა 80.7% 20-34 წლის ასაკის ქალების მიერ იყო გაჩენილი.


სურათი 2.4 20 წლამდე ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ცოცხალშობილი ბავშვების წილი ცოცხალშობილთა საერთო რაოდენობიდან, საქართველო



ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, *შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი* 2013 წელს 1.72-ს შეადგენდა.


საქართველოში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების (RHS) მონაცემები რამდენადმე განსხვავდებოდა ოფიციალური სტატისტიკისაგან, თუმცა ეს სხვაობა შემცირების დინამიკით ხასიათდებოდა (სურათი 2.5).

სურათი 2.5 შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, ოფიციალური სტატისტიკის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების მონაცემები, საქართველო




სიკვდილიანობა

2013 წელს *სიკვდილიანობის მაჩვენებელი* 10.8 შეადგინა. გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 51.2% მამაკაცი, 48.8% - ქალი, 53.2% ქალაქის, ხოლო 46.8% - სოფლის მაცხოვრებელი იყო. საქართველოში სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით დაბალია, თუმცა ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს აღემატება (სურათი 2.6).



2013 წელს საქართველოში *სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზები*: სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების კლასი - 38.5%; კლასი, რომელიც მოიცავს კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებით გამოვლენილ სიმპტომებს, ნიშნებს, ნორმიდან გადახრებს და სიკვდილის უცნობ მიზეზებს - 35.7% და სიმსივნეები - 10.3%. ტრავმები სიკვდილის ძირითადი მიზეზების მხოლოდ 3.2%-ს შეადგენდა.

უკანასკნელ წლებში აღინიშნება სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილის მატების ტენდენცია (სურათი 2.7). 2010 წელს სიკვდილის არაიდენტიფიცირებული მიზეზების წილი მნიშვნელოვან 50%-ს გადააჭარბა; 2013 წელს - 35.7%-მდე შემცირდა.



0-15 წლამდე ასაკის ბავშვებზე გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 1.8% მოდიოდა, მათ შორის 72.7% - 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებზე.

ბუნებრივი მატება

საქართველოში 2013 წელს ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე 2.1 იყო.


უარყოფითი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა შემდეგ რეგიონებში: იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა

2013 წელს საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 75.2 შეადგინა (ქალებში – 79.4; მამაკაცებში – 70.8).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებლები აღემატება დსთ-ს ქვეყნების მაჩვენებლებს და უახლოვდება ევროპის რეგიონის მაჩვენებლებს (სურათი 2.8).

სურათი 2.8 სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (ბოლო ხელმისაწვდომი წელი)



ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, საქართველო

	2012		2013	
	სულ	მაჩვენებელი	სულ	მაჩვენებელი
ცოცხალშობილთა რაოდენობა და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	57031	12.7	57878	12.9
ბუნებრივი მატება და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	7683	1.7	9325	2.1
გარდაცვლილთა რაოდენობა და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	49348	11.0	48553	10.8
მათ შორის გარდაიცვალა 1 წლამდე და მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე	715	12.5	640	11.2
მკვლადშობილობა და მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე	664	11.5	567	9.7
ქორწინება და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	30412	6.8	34693	7.7
განქორწინება და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	7136	1.6	8089	1.8
მიგრაციული მატება და მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე	-21500	-4.8	-2600	-0.6

თავი 3.


მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

ჯანდაცვის სისტემის კადრები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2006 წლის მოწოდების თანახმად, “სათანადო კვალიფიკაციის კადრების მომზადება და მათი გამოყენება ჯანდაცვის საკადრო პოლიტიკის ძირითადი მიზანია”. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ განსაზღვრა საერთაშორისო მინიმალური სტანდარტი მოსახლეობის სამედიცინო კადრებით მოცვისათვის: მინიმუმ 2.3 ჯანდაცვის მუშაკი 1000 მოსახლეზე. საქართველოში 2013 წელს ეს მაჩვენებელი ~8 იყო.

საანგარიშო წელს ქვეყანაში *ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი* (456.3) 4.7%-ით შემცირდა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იკავებს (სურათი 3.1).


სურათი 3.1 ექიმების რაოდენობა 100000 მოსახლეზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი



წყარო: WHO HFADB

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის “ჯანმრთელობა ყველასათვის” მონაცემთა ბაზის თანახმად, ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელს გლობალურად ზრდის ტენდენცია ახასიათებს (სურათი 3.2).


სურათი 3.2 ექიმებით უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე



წყარო: WHO HEADB, NCDC

საქართველოში 2003 წლიდან აღინიშნებოდა ექთნებით უზრუნველყოფის მაჩვენებლის კლების ტენდენცია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ექთნებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები ევროპის რეგიონში, ევროკავშირსა და დსთ-ს ქვეყნებში მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოს მაჩვენებელს (სურათი 3.3).


სურათი 3.3 ექთნებით უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე



წყარო: WHO HEADB, NCDC

სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს ექთნების რაოდენობის ექიმების რაოდენობასთან შეფარდება წარმოადგენს (სურათი 3.4). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული შეფარდება არის 4:1. 2013 წელს საქართველოში ექთნების ექიმებთან შეფარდების მაჩვენებელი ~1:1.6 (ჰოსპიტალურ სექტორში – 1:1).

სურათი 3.4 მიმდინარე და მკურნალობის უზარალობა




წყარო: WHO HFADB

ჯანდაცვის ქსელი

საქართველოში, უკანასკნელ წლებში დაფიქსირდა ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობის ზრდა. 2013 წელს მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 2.7-ს შეადგენდა (სურათი 3.5).

სურათი 3.5 ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე, საქართველო



ლათ-ს და ევროპის ქვეყნებთან შედარებით ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2012 წლის მონაცემებით, ლათ-ს ქვეყნებისთვის მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 8.9-ს, ხოლო ევროპის რეგიონის ქვეყნებისთვის 2011 წლის მონაცემებით (ბოლო ხელმისაწვდომი წელი) - 7.7-ს შეადგენდა.


2013 წელს, წინა წელთან შედარებით, 14.7%-ით მოიმატა ამბულატორიული *ქირურგიული ოპერაციების* რიცხვმა.

2005-2013 წლების პერიოდში იზრდებოდა **სასწრაფო სამედიცინო დახმარების** გამოძახებათა რაოდენობა. 2013 წელს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიერ განხორციელებული გასვლების მთლიანი რაოდენობიდან 95.7%-ში დახმარება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში იქნა გაწეული.

2013 წელს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში დარგობრივი სტატისტიკური ანგარიშები წარმოადგინა 253 **სტაციონარული სერვისების მიმწოდებელმა დაწესებულებამ**.


წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, საანგარიშო წელს საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფა (მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე) სტაციონარული დაწესებულებებით 5.6-ს შეადგენდა, რაც ნაკლებია, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქვეყანაში (სურათი 3.6).

სურათი 3.6 საავადმყოფოებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი



სტაციონარული საწოლების რაოდენობამ, წინა წელთან შედარებით, 2.2%-ით მოიმატა (საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე 258.5) (სურათი 3.7), **საწოლზე დატვირთვამ** 181.3 შეადგინა.

სურათი 3.7 საწოლთა უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე, საქართველო



2013 წელს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ჰოსპიტალიზებული იყო 389456 ავადმყოფი (*ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი* 8679.3). სტაციონარის ერთი ექიმი წელიწადში საშუალოდ 41 პაციენტს უწევდა მომსახურებას, რაც 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

ჰოსპიტალიზაციათა 19.1% ორსულობასთან, მშობიარობასა და ლოგინობის ხანასთან იყო დაკავშირებული, 17.5% - სასუნთქი სისტემის ავადმყოფობებთან. 2013 წელს ზოგადი **ლეტალობა სტაციონარში** 2.3%-ს შეადგენდა (0-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებში – 0.9%).

2013 წელს სტაციონარებში ჩატარდა 189478 **ოპერაცია** (მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე – 42.2; **ოპერაციის შემდგომი ლეტალობა** – 0.4%). 15 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარდა 15670 ოპერაცია (მაჩვენებელი 1000 ბავშვზე – 20.5; ლეტალობა – 0.4%).

ჩატარებული ოპერაციების სტრუქტურაში უმეტესი წილი ეკავა ოპერაციებს შარდსასქესო სისტემის (35.4%) და მუცლის ღრუს (20%) ორგანოებზე.

მენჯ-ბარძაყის და მუხლის სახსრების პროტეზირება 23.4%-ს შეადგენდა ძვალ-კუნთოვანი სისტემის ოპერაციებს შორის. 2012 წელთან შედარებით, ამ ტიპის ოპერაციების რაოდენობა 46.4%-ით გაიზარდა.

2013 წელს გულზე ჩატარდა 10661 ოპერაცია (29.2%-ით მეტი 2012 წელთან შედარებით), მათ შორის 628 ოპერაცია - ბავშვებში. გულზე ოპერაციების 4.5% ჩატარდა თანდაყოლილი მანკების გამო. ენდოვასკულური ბალონური დილატაცია 2.8%-ს, კარდიოსტიმულატორის იმპლანტირება 4.3%-ს, კორონარული არტერიების ანგიოპლასტიკა 20.1%-ს შეადგენდა. ინვაზიური ელექტროფიზიოლოგიის და აბლაციის მეთოდით ჩატარდა 201 ჩარევა.

გადაუდებელი ოპერაციების წილმა ჩატარებულ ოპერაციათა საერთო რაოდენობაში, წინა წელთან შედარებით, მოიმატა და 20.8% შეადგინა.

თავი 4.

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა

2013 წელს საქართველოში აღინიშნებოდა ზოგადი პრევალენტობის და ინციდენტობის მატეხის ტენდენცია როგორც მთლიან მოსახლეობაში, ასევე ბავშვებში.

ავადმყოფობათა ზოგადი პრევალენტობა და ინციდენტობა, საქართველო, 2008 - 2013


	რეგისტრირებული შემთხვევები	პრევალენტობა 100000 მოსახლეზე	ახალი შემთხვევები	ინციდენტობა 100000 მოსახლეზე
2008	1809208	41270.3	807497	18420.0
2009	2216203	50243.8	1169546	26514.9
2010	2206535	49553.9	1161137	26076.6
2011	2549198	56858.6	1276437	28470.3
2012	2878314	64095.0	1662851	37028.8
2013	3060289	68200.4	1795399	40011.6

ინფექციური ავადმყოფობები


საქართველოში 2013 წელს *ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების* ახალი შემთხვევების ზრდა აღინიშნებოდა: ინციდენტობის მაჩვენებელი მთლიან პოპულაციაში 26.4%-ით, ბავშვებში 23.3%-ით გაიზარდა (სურათი 4.1, სურათი 4.2).

ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობებით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები მთლიან პოპულაციაში 6.8%-ით, ხოლო 0-15 წლის ასაკის ბავშვებში 11.8%-ით შემცირდა (სურათი 4.1, სურათი 4.2).

სურათი 4.1 ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, ინციდენტობა და ჰოსპიტალიზაცია, მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, საქართველო



სურათი 4.2 ინფემციური და პარაზიტული დაავადებები, ინციდენტობა და კოსპიტალიზაცია ბავშვებში, მარეგისტრირებული 100000 ბავშვზე, საქართველო




საანგარიშო წელს ბავშვთა კოსპიტალიზაციის ძირითად მიზეზს ნაწლავური ინფექციები წარმოადგენდა: კოსპიტალიზაციის წილი 0-15 წლამდე ასაკის ბავშვებში 64%-ს, ხოლო 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებში – 68%-ს შეადგენდა.

ფილტვის და ფილტვბარემში ტუბერკულოზი*

2013 წელს საქართველოში აღირიცხა ყველა ფორმის ტუბერკულოზის 4318 შემთხვევა, მათ შორის 3357 ახალი შემთხვევა და 223 რელაფსი. ტუბერკულოზით ავადობის მაჩვენებლების კლება 2009 წლიდან დაფიქსირდა და ამ წლიდან რეგისტრირებული შემთხვევები 100000 მოსახლეზე 31.2%-ით, ხოლო ახალი შემთხვევები 100000 მოსახლეზე – 30.6%-ით შემცირდა (სურათი 4.3).

სურათი 4.3 ტუბერკულოზის რეგისტრირებული და ახალი შემთხვევები (მარეგისტრირებული 100000 მოსახლეზე, საქართველო)




* დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში “ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ათასწლეულის განვითარების მიზნები”.

ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 78.5% ფილტვის ტუბერკულოზზე მოდიოდა.

ფილტვის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 71.4% რეგისტრირებულია მამაკაცებში, მანვენებელი 2.7-ჯერ აღემატება იგივე მანვენებელს ქალებში. მამაკაცებში ახალი შემთხვევების მანვენებლები თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ბავშვთა ასაკის გარდა, ბევრად აღემატებოდა იგივე ასაკობრივი ჯგუფების მანვენებლებს ქალებში. ორივე სქესისთვის ახალი შემთხვევების მანვენებელი მაქსიმუმს 25-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში აღწევდა (სურათი 4.4).

სურათი 4.4 ფილტვის ტუბერკულოზი, ახალი შემთხვევები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (მანვენებლები შემსაბამისი სქესის 100000 მოსახლეზე), საქართველო, 2013



მკურნალობის შედეგების მიხედვით, 12 თვის წინ რეგისტრირებული ფილტვის ახალი მგბ+ შემთხვევების წარმატებული მკურნალობის მანვენებელმა 74.4% შეადგინა.

12 თვის წინ რეგისტრირებული ფილტვის (მგბ+) ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების DOTS-ის მკურნალობის შედეგები, საქართველო, 2009 – 2013

	2009	2010	2011	2012	2013
რეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობა	1868	2055	2143	2028	1647
<i>მათ შორის (%):</i>					
განკურნება	60.3	63.7	67.0	68.3	65.6
ღასრულეული მკურნალობა	13.2	11.6	9.5	7.7	8.8
უშედეგო მკურნალობა	4.4	3.5	1.9	3.1	4.3
გარდაიცვალა	2.8	3.1	2.9	2.3	2.0
შეწყვეტილი მკურნალობა	8.8	7.3	6.7	5.1	5.5
სხვა დაწესებულებებში გადასვლა	2.4	1.4	0.8	0.5	0.2
შეუფასებელი შემთხვევები	1.6	1.3	1.4	1.2	2.3
გადაყვანილია IV კატეგორიაში	6.6	8.1	9.8	11.7	11.3

ფილტვარეშე ტუბერკულოზის რეგისტრირებული შემთხვევების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი ტუბერკულოზურ პლევრიტზე (34.1%) მოდიოდა.


ფილტვბარემო ტუბერკულოზი, საქართველო, 2013

	რეგისტრირებული შემთხვევები		მათ შორის ახალი შემთხვევები	
	სულ	% საქართველოში რაოდენობიდან	სულ	% ახალ შემთხვევებში საქართველოში რაოდენობიდან
ფილტვბარემო ტუბერკულოზი	816	100	721	100
<i>მათ შორის:</i>				
ტვინის გარეშე ტუბერკულოზი	21	2.6	16	2.2
კვალსასართა ტუბერკულოზი	127	15.6	110	15.3
უროგენიტალური ტუბერკულოზი	100	12.3	75	10.4
ტუბერკულოზური ალვერიტი	279	34.2	260	36.1
ლიმფური კვანძების ტუბერკულოზი	211	25.9	195	27.0
სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი	77	9.4	65	9.0

ტვინის გარეშე ტუბერკულოზის 21 შემთხვევიდან ბაქტერიები არცერთი შემთხვევა არ არის აღრიცხული.

საქართველოში 2013 წელს მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევები ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების 11.2%-ს შეადგენდა. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის წილი წარსულში ნამკურნალევი შემთხვევების 38.1%-მდე გაიზარდა (სურათი 4.5).

სურათი 4.5 მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი



აივ-შიდსი*

საქართველოში 2013 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი აივ-ინფექციის დიაგნოზის 490 შემთხვევა გამოვლინდა (ინციდენტობის მაჩვენებელი – 10.9).

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
რეგისტრირებული შემთხვევები (კუმულაციური)	635	874	1152	1497	1835	2170	2609	3033	3715	4205
ახალი შემთხვევები	160	239	278	345	338	335	439	424	526	490
ინციდენტობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე	3.9	5.7	6.3	7.9	7.7	7.6	9.9	9.5	11.7	10.9
გარდაცვლილთა რაოდენობა (კუმულაციური)	108	161	204	261	300	366	456	572	682	747
გარდაიცვალა მიმდინარე წელს	39	53	43	57	39	66	90	116	110	65

* დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში “ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ათასწლეულის განვითარების მიზნები”.


საანგარიშო წელს ახალი შემთხვევების 74.9% მამაკაცებზე მოდიოდა. დაავადების გადაცემის გზების მიხედვით ახალი შემთხვევების 35.5% ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელზე, ხოლო 62.7% - სქესობრივ კონტაქტებზე მოდიოდა (მათ შორის 49.2%-ს ჰეტეროსექსუალური კონტაქტები შეადგენდა). ვერტიკალური გადაცემის (დედიდან შვილზე) 4 შემთხვევა აღირიცხა. შიდსის გვიანი გამოვლენის შემთხვევებს შორის გადაცემის გზების მიხედვით 43% ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებაზე და ~54% სქესობრივ კონტაქტებზე მოდიოდა.

2013 წელს აივ/შიდსით გარდაცვალების 96 შემთხვევა აღირიცხა, მათ შორის 67.7% აივ-ინფექციასთან იყო დაკავშირებული.

წითელა*

საქართველოში ისევე, როგორც ყველა ქვეყანაში, წითელა სავალდებულო რეგისტრაციას და ეპიდზედადამხედველობას ექვემდებარება. ქვეყანაში ავადობის მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა 2004 და 2013 წლებში. 2013 წლის პიკი (ინციდენტობა 175.4) განპირობებულია 2008 წელს იმუნიზაციის მასობრივი კამპანიის წარუმატებლობით, რის შედეგადაც მოხდა მოსახლეობის არაიმუნური ფენის დაგროვება, რაც წითელათი ავადობის ეპიდემიური მატების პირობა გახდა (სურათი 4.6).

სურათი 4.6 წითელა, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე




ვისცერული ლეიშმანიოზი

2013 წელს საქართველოში დაფიქსირდა **ლეიშმანიოზის** 104 შემთხვევა; 2007 წელთან შედარებით ლეიშმანიოზის ინციდენტობის მაჩვენებელი 43.9%-ით არის შემცირებული. ბავშვებში ინციდენტობის მაჩვენებელი შემცირდა 51%-ით (სურათი 4.7).

* დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში “ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ათასწლეულის განვითარების მიზნები”.


სურათი 4.7 ლეიშმანიოზი, ინციდენტობა, მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე, საქართველო



ვირუსული ჰეპატიტები B და C

2013 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოში **B ვირუსული ჰეპატიტის** ინციდენტობის მანვენებელი დაახლოებით 30%-ით, ხოლო **C ვირუსული ჰეპატიტის** ინციდენტობამ 9.6%-ით გაიზარდა (სურათი 4.8).

სურათი 4.8 B და C ჰეპატიტების ინციდენტობის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, საქართველო



B ჰეპატიტის რეგისტრირებულ შემთხვევათა შორის მწვავე ჰეპატიტის შემთხვევების წილი 16.4%-ს შეადგენდა. C ჰეპატიტის ახალი შემთხვევებიდან 9.4% მწვავე შემთხვევებზე, ხოლო 90.6% - ახლად გამოვლენილ ქრონიკულ შემთხვევებზე მოდიოდა. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით B და C ჰეპატიტების ავადობის მაქსიმალური მანვენებელი 30-59 წლის მოსახლეობაში აღინიშნებოდა.

არაგადამდები ავადმყოფობები

არაგადამდები ავადმყოფობები, როგორცაა სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები, კიბო, დიაბეტი და ქრონიკული რესპირატორული დაავადებები, განაპირობებს სიკვდილის 63%-ს მთელ მსოფლიოში. ყოველწლიურად 36 მილიონი ადამიანი იღუპება არაგადამდები დაავადებებით, მათ შორის 9 მილიონი - 60 წლამდე ასაკში, რაც დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ზიანს აყენებს თითოეულ ქვეყანას, განსაკუთრებით კი - განვითარებად ქვეყნებს. საქართველოში სიკვდილობის 94% განპირობებულია არაგადამდები დაავადებებით და ტრავმებით, სიკვდილის მიზეზთა 69% გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე მოდის.

როგორც წესი, არაგადამდები ავადმყოფობების განვითარებას საფუძვლად უდევს მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორები, როგორცაა თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, არაჯანსაღი კვება, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა, ჭარბი წონა, არტერიული წნევის ციფრების, გლუკოზის ან/და ქოლესტეროლის დონის მატება სისხლში.


სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით:

- 2030 წლისთვის *სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების* (უმეტესად გულის ავადმყოფობები და ინსულტი) შედეგად გარდაცვლილი ადამიანების რიცხვი 23.3 მილიონს მიაღწევს;
- სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობების პრევენცია შესაძლებელია რისკ-ფაქტორების ექსპოზიციის შემცირების გზით;
- ყოველწლიურად სიკვდილის ყველა ადრიცხული შემთხვევის 16.5% (9.4 მილიონი გარდაცვლილი) უკავშირდება მაღალ არტერიულ წნევას, მათ შორის ინსულტით გამოწვეულ სიკვდილზე მოდის 51%, ხოლო გულის იშემიურ დაავადებაზე - 45%.

საქართველოში 2013 წელს აღინიშნა სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების ახალი შემთხვევების და რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობის მკვეთრი მატება, რაც სავარაუდოდ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლედ ბენეფიციართა რაოდენობის ზრდასთან არის დაკავშირებული (სურათი 4.9).


სურათი 4.9 სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების გავრცელება, საქართველო



საანგარიშო წელს სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების სტრუქტურაში 64.1% ჰიპერტენზიულ ავადმყოფობაზე მოდიოდა (პრევალენტობა – 6074.6, ინციდენტობა – 2889.5), 21.4% - გულის იშემიურ ავადმყოფობებზე (პრევალენტობა – 1975.9, ინციდენტობა – 755.8), 3.6% - ცერებროვასკულურ ავადმყოფობებზე (პრევალენტობა – 339.4 ინციდენტობა – 138.0).

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობებით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი ზრდის დინამიკით ხასიათდებოდა. ჰოსპიტალიზაციის დონე 100000 მოსახლეზე 1341.0-ს შეადგენდა, რაც თითქმის 3-ჯერ ნაკლები იყო დსთ-ს და ევროკავშირის ქვეყნების ბოლო ხელმისაწვდომ მონაცემებთან შედარებით (სურათი 4.10).

სურათი 4.10 სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობებით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე



წყარო: WHO HFADB & NCDC

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობებით ლეტალობის მაჩვენებელი 5.9%-ს შეადგენდა. მაღალი ლეტალობა აღინიშნა ავადმყოფობათა შემდეგ ჯგუფებში: ფილტვისმიერი გული და ფილტვში სისხლის მიმოქცევის მოშლა (ლეტალობა – 17.8), ცერებროვასკულური ავადმყოფობები (ლეტალობა – 17.9), კერძოდ, ინტრაკრებრული


და სხვა ინტერაქტიული არატრავმული სისხლჩაქცევების ჯგუფი (ლეტალობა - 31.2) და სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა (ლეტალობა - 21.3).

ჰიპერტონული ავადმყოფობა

2012 წელთან შედარებით, საქართველოში აღინიშნა *ჰიპერტონული ავადმყოფობის* ინციდენტობის და პრევალენტობის მკვეთრი მატება (სურათი 4.11).

სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობების გავრცელების მაჩვენებლების ზრდა ძირითადად ჰიპერტონული ავადმყოფობის გავრცელების მაჩვენებლების ზრდით არის განპირობებული.

სურათი 4.11 ჰიპერტონული ავადმყოფობის გავრცელება, საქართველო




გულის იშემიური ავადმყოფობები

გულის იშემიური ავადმყოფობები სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობათა სტრუქტურაში მეორე ადგილს იკავებს და შემთხვევათა რაოდენობის 20.9%-ს შეადგენს.


2013 წელს დაფიქსირდა გულის იშემიური ავადმყოფობების ინციდენტობის ზრდა (მაჩვენებელი - 755.3) (სურათი 4.12), რაც დაკავშირებულია სტენოკარდიის ინციდენტობის ზრდასთან (14%-ით).

სურათი 4.12 გულის იშემიური ავადმყოფობების გავრცელება, საქართველო



გულის იშემიური ავადმყოფობების ~1/3 სტენოკარდიაზე მოდიოდა, 2.9% - მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტზე. 2013 წელს საქართველოში მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ინციდენტობა 2.8%-ით შემცირდა ჰოსპიტალიზაციის ზრდის ფონზე (ინციდენტობის მაჩვენებელი – 52.7; ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი – 163.9) (სურათი 4.13).

სურათი 4.13 მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, ინციდენტობის და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, საქართველო




მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ იქნა 7355 პაციენტი, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით ლეტალობის მაჩვენებელი შემცირდა 8.5%-ით და 7.1% შეადგინა. მიოკარდიუმის განმეორებითი ინფარქტით ლეტალობა 3.4%-ს შეადგენდა.

ცერებროვასკულური ავადმყოფობები

უკანასკნელი წლების განმავლობაში ცერებროვასკულური ავადმყოფობებით ჰოსპიტალიზაციათა მაჩვენებელი საქართველოში სტაბილურ მნიშვნელობას


ინარჩუნებდა, 2013 წელს აღინიშნებოდა მაჩვენებლის 16.7%-ანი მატება, თუმცა, ევროპის და დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით ის ისევ დაბალია (სურათი 4.14).

სურათი 4.14 ცერებროვასკულური ავადმყოფობის დიაგნოზით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე



2013 წელს, საქართველოში ცერებროვასკულური ავადმყოფობებით ჰოსპიტალიზაციის სტრუქტურაში 50.6% თავის ტვინის ინფარქტზე მოდიოდა.

სურათი 4.15 ცერებროვასკულური ავადმყოფობები, ინციდენტობის და კრევალენტობის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, საქართველო



ავთვისებიანი სიმსივნეები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით:

- 2012 წელს მსოფლიო მასშტაბით კიბოს შემთხვევის რაოდენობა 14 მილიონს შეადგენს. პროგნოზული გათვლებით 2030 წლისთვის მოსალოდნელია კიბოს შემთხვევების მატება 22 მლნ-მდე;
- მსოფლიოში სიკვდილის წამყვან მიზეზებს შორის კიბოს შედეგად 2012 წელს გარდაცვლილთა რიცხვმა 8.2 მილიონს მიაღწია;
- სიმსივნეებით გამოწვეული სიკვდილიანობის სტრუქტურაში ყოველწლიურად იზრდება ფილტვის, ღვიძლის, კუჭის, ძუძუს და კოლორექტური კიბოს წილი;


- კიბოს გავრცელების სურათი მამაკაცებში და ქალებში განსხვავებულია;
- კიბოთი გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების 30%-მდე წარმოადგენს ქცევითი და საკვებისმიერი რისკ-ფაქტორების უგულვებელყოფის შედეგს - სხეულის მასის მაღალი ინდექსი, ხილისა და ბოსტნეულის მცირე რაოდენობით მიღება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, თამბაქოს მოხმარება და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება;
- თამბაქოს მოხმარება კიბოს განვითარების უმნიშვნელოვანეს რისკ-ფაქტორს წარმოადგენს, დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში სწორედ ამით არის განპირობებული კიბოს მიზეზით გარდაცვალებების 20% და ფილტვის კიბოს შედეგად სიკვდილის 70%;
- დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში კიბოს სიკვდილიანობის სტრუქტურაში 20% C და B ვირუსული ჰეპატიტით და პაპილომა ვირუსით გამოწვეული კიბოს შემთხვევებზე მოდის;
- მსოფლიოში კიბოს ახალი შემთხვევების 60%-ზე მეტი ფიქსირდება აფრიკაში, აზიაში და ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. კიბოთი გამოწვეული სიკვდილის 70%-მდე ამავე რეგიონებში აღირიცხება.

საქართველოში უკანასკნელ წლებში აღინიშნებოდა დისპანსერული აღრიცხვიანობის სისტემის მოშლა და ონკოლოგიური ავადმყოფების ოჯახის ექიმებთან მეთვალყურეობაზე გადაცემა, რამაც გამოიწვია **ავთვისებიანი სიმსივნეების** გავრცელების რეალური სურათის დამახინჯება. 2010 წლიდან 2012 წლის ჩათვლით აღინიშნებოდა ათვისებიანი სიმსივნეების გავრცელების მანევრებლების მნიშვნელოვანი კლება, რაც აღრიცხვიანობის მნიშვნელოვანი ხარვეზებით იყო განპირობებული.

2013 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოში ათვისებიანი ახალწარმონაქმნების ინციდენტობის მანევრებელი 16.8%-ით გაიზარდა (110.1 ახალი შემთხვევა იყო რეგისტრირებული 100000 მოსახლეზე), რაც სამედიცინო მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობით შეიძლება აიხსნას (სურათი 4.16). ათვისებიანი ახალწარმონაქმნების ახალი შემთხვევების 55.6% რეგისტრირებულია ქალებში.


ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოში ათვისებიანი სიმსივნეების ინციდენტობის მანევრებლები მნიშვნელოვნად დაბალია დსთ-ს და ევროპის ქვეყნებთან შედარებით (სურათი 4.16, სურათი 4.17).

სურათი 4.16 ათვისებიანი სიმსივნეების ინციდენტობის მანევრებელი 100000 მოსახლეზე



წყარო: WHO HFADB & NCDC


სურათი 4.17 ავთვისებიანი სიმსივნეების ინციდენტობა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი



წყარო: WHO HFADB

უკანასკნელი წლების განმავლობაში ახლად გამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების საერთო რაოდენობაში გაიზარდა I და II სტადიაზე გამოვლენილი შემთხვევების წილი და შესაბამისად შემცირდა III და IV სტადიაზე გამოვლენის წილი (სურათი 4.18).


სურათი 4.18 ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო



2013 წელს საქართველოში ავთვისებიანი ახალწარმონაქმნის დიაგნოზით პოსპიტალიზებული იყო 8885 პაციენტი (ლეტალობის მაჩვენებელი – 5.3%), მათ შორის 255 ბავშვი (ლეტალობის მაჩვენებელი – 6.3%). საანგარიშო წელს ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულთა კონტინგენტიდან 11.1% გარდაიცვალა. ეს მაჩვენებელი თითქმის არ განსხვავდება წინა წლის მაჩვენებლისგან. გარდაცვლილთა 38.8%-ს დიაგნოზის დადგენიდან პირველ წელს გარდაცვლილები შეადგენდნენ.


მამაკაცებში ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებით გამოწვეული სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზებია ფილტვის კიბო და საჭმლის მომნელებელი სისტემის ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები, ქალებში - საჭმლის მომნელებელი სისტემის და სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები (სურათი 4.19, სურათი 4.20).

სურათი 4.19 ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებით გამოწვეული სიკვდილიანობის ათი ძირითადი მიზეზი მამაკაცებში, საქართველო, 2013



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სურათი 4.20 ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებით გამოწვეული სიკვდილიანობის ათი ძირითადი მიზეზი ქალებში, საქართველო, 2013




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სარძევე ჯირკვლის კიბო

2013 წელს რეგისტრირებულია *სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის* 972 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა – 19.7), მათ შორის 12 - მამაკაცებში. წლის ბოლოს აღრიცხვაზე იმყოფებოდა 6123 ავადმყოფი (პრევალენტობა – 136.5).


ქალებში ავთვისებიანი სიმსივნეების ახალი შემთხვევების სტრუქტურის 34.9% სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეებზე მოდიოდა. ინციდენტობის მაჩვენებელმა წინა წელთან შედარებით 18.6%-ით მოიმატა (სურათი 4.21).

სურათი 4.21 სარკვევ ჯირკვლის სიმსივნეების ინციდენტობის მარკინებელი ქალაქში, საქართველო



უკანასკნელი წლების განმავლობაში სარკვევ ჯირკვლის ახლად გამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა I და II სტადიაზე გამოვლენილი შემთხვევების წილი და შესაბამისად შემცირდა III და IV სტადიაზე გამოვლენის წილი (სურათი 4.22). 2013 წელს სარკვევ ჯირკვლის ახლად გამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების საერთო რაოდენობაში I და II სტადიაზე გამოვლენის წილმა თითქმის 50% შეადგინა.

სურათი 4.22 სარკვევ ჯირკვლის ავთვისებიანი ახალწამონაშენების ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო




საშვილოსნოს ყელის კიბო

2013 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი *საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნეების* დიაგნოზით აღრიცხული იყო 172 ავადმყოფი, ინციდენტობის მაჩვენებელი 2009 წელთან შედარებით 39.6%-ით შემცირდა (სურათი 4.23). წლის ბოლოს აღრიცხვაზე 1537 ავადმყოფი იმყოფებოდა (პრევალენტობა – 65.5).

სურათი 4.23

საშიფლოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნეების ინციდენტობის მაჩვენებელი, საქართველო




2013 წელს საშიფლოსნოს ყელის ახლად გამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების საერთო რაოდენობაში I და II სტადიებზე გამოვლენის წილმა წინა წელთან შედარებით მოიმატა და გახდა 13.3% და 26.7% შესაბამისად. ახლად გამოვლენილი შემთხვევებიდან დიაგნოზის დადგენიდან პირველ წელს გარდაიცვალა 29 ქალი, რაც აღნიშნული ჯგუფის 16.9% შეადგენს.

ტრაქეა, ბრონქების და ფილტვის კიბო

2013 წლის ბოლოს ტრაქეა, ბრონქების და ფილტვის ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე იმყოფებოდა 1233 ავადმყოფი (პრევალენტობა – 27.5). სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებულ ავადმყოფთა შორის 83.9% მამაკაცი იყო (ინციდენტობა მამაკაცებში – 18.9). ინციდენტობის მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, 18.6%-ით გაიზარდა (სურათი 4.24). მამაკაცებში ავთვისებიანი სიმსივნეების ახალი შემთხვევების 18.5% ტრაქეა, ბრონქების და ფილტვის სიმსივნეებზე მოდიოდა.


სურათი 4.24 ტრამპას, ბრონქების, ფილტვების ავთვისებიანი სიმსივნეების ახალი შემთხვევები მამაკაცებში, საქართველო



უკანასკნელი წლების განმავლობაში ტრამპას, ბრონქების და ფილტვის ახლად გამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა I და II სტადიაზე გამოვლენილი შემთხვევების წილი და შესაბამისად შემცირდა III და IV სტადიაზე გამოვლენის წილი (სურათი 4.25).

ახლად გამოვლენილი შემთხვევებიდან დიაგნოზის დადგენიდან პირველ წელს გარდაიცვალა 27.4%.

სურათი 4.25 ტრამპას, ბრონქების, ფილტვის ავთვისებიანი ახალწამონაქმნების ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო



წინამდებარე ჯირკვლის კიბო

2013 წლის ბოლოს წინამდებარე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე იმყოფებოდა 631 ავადმყოფი (პრევალენტობა – 29.5). სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 208 პაციენტი, ინციდენტობის მაჩვენებელი – 9.7 (სურათი 4.26).

2013 წელს წინამდებარე ჯირკვლის ახლად გამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების საერთო რაოდენობაში II სტადიაზე გამოვლენის წილმა მოიმატა 68%-ით და ამავდროულად 16%-ით შემცირდა IV სტადიაზე გამოვლენის წილი.


ახლად გამოვლენილი შემთხვევებიდან დიაგნოზის დადგენიდან პირველ წელს გარდაიცვალა 15.9%.

კოლორექტუმის კიბო

2013 წლის ბოლოს სწორი ნაწლავის, რექტოსიგმოიდური შეერთების, ანუსის და ანალური არხის ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე იმყოფებოდა 1178 ავადმყოფი (პრევალენტობა – 26.3). რეგისტრირებული იყო 270 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა – 6.0) (სურათი 4.26).

2013 წელს სწორი ნაწლავის, რექტოსიგმოიდური შეერთების, ანუსის და ანალური არხის ახლად გამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების საერთო რაოდენობაში III და IV სტადიაზე გამოვლენის წილმა შეადგინა 66% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ I სტადიაზე გამოვლენის წილი წინა წელთან შედარებით გაიზარდა. ახლად გამოვლენილი შემთხვევებიდან დიაგნოზის დადგენიდან პირველ წელს გარდაიცვალა 22.2%.

სურათი 4.26 წინამდებარე ჯირკვლის და კოლორექტუმის ავთვისებიანი სიმსივნეების ინციდენტობის მაჩვენებლები 100000 მოსახლეზე, საქართველო




ენდოკრინული სისტემის ავადმყოფობები

ღიაბეტი

საანგარიშო წელს საქართველოში უკანასკნელ წლებში გამოვლენილი ღიაბეტის ზრდის ტენდენცია შეჩერდა (სურათი 4.27).

სურათი 4.27 შაქრიანი დიაბეტის პრევალენტობის მარკმეზბელი დიაბეტის ტიპის მიხედვით, საქართველო




შაქრიანი დიაბეტი ტიპი I-ის ახალი შემთხვევების 2.1% აღირიცხა 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.

2013 წელს საქართველოს სტაციონარებიდან შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზით გავიდა 1766 პაციენტი (მათ შორის 190 ბავშვი). ლეტალობის მაჩვენებელი 2.3% იყო. ბავშვებში გარდაცვალების შემთხვევები არ აღრიცხულა.

სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები

საქართველოში 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, *სასუნთქი ორგანოების ავადმყოფობების* ინციდენტობის მაჩვენებელმა 6.9%-ით მოიმატა. ახალი შემთხვევების 50.3% რეგისტრირებულია ბავშვებში (სურათი 4.28).

სურათი 4.28 სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების ასალი შემთხვევები 100000 მოსახლეზე, საქართველო



სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების დიაგნოზით 2013 წელს სტაციონარიდან გასული ავადმყოფების 56.4% ბავშვია. სტაციონარში ზოგადი ლეტალობის დონე 2.1%-ს, ბავშვებში – 0.2%-ს, 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებში – 0.2%-ს შეადგენდა. 2010 წელთან შედარებით, ბავშვებში ლეტალობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

რესპირაციული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობები (CRD)

რესპირაციული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობების ჯგუფი აერთიანებს შემდეგ ავადმყოფობებს: ასთმა, სასუნთქი სისტემის ალერგიული ავადმყოფობები, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები (COPD), ფილტვის პროფესიული ავადმყოფობები, პულმონალური ჰიპერტენზია, ფილტვის კიბო, სარკოიდოზი და რესპირაციული სისტემის სხვა ქრონიკული ავადმყოფობები.

2013 წელს ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობების რეგისტრირებული შემთხვევების რიცხვმა უმნიშვნელოდ დაიკლო და შეადგინა 47653. წლის ბოლოს მეთვალყურეობაზე იმყოფებოდა 34906 პაციენტი, მათ შორის 2795 - ბავშვი.

ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები (COPD)

2013 წელს ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობების 70.8% *ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციულ ავადმყოფობებზე* მოდიოდა. ბავშვებში ეს წილი 70.4%-ს შეადგენდა.

ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობების (COPD) უდიდეს წილს ქრონიკული და დაუზუსტებელი ბრონქიტი წარმოადგენდა როგორც მთლიან პოპულაციაში – 74.2%, ასევე ბავშვებში – 78.2%. წინა წელთან შედარებით, ეს მაჩვენებლები მომატებულია.


ასთმა

2013 წელს, საქართველოში აღირიცხა *ასთმის და ასთმური სტატუსის* 3487 ახალი შემთხვევა, ინციდენტობის მაჩვენებელი - 77.7. 2012 წელთან შედარებით, ინციდენტობის

მაჩვენებელი მთლიან პოპულაციაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (სურათი 4.29), ხოლო ბავშვებში 9.9%-ით შემცირდა.

ასთმის წილი სასუნთქი სისტემის ორგანოების ავადმყოფობებში უცვლელად 2.1%-ს, ხოლო ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობების ჯგუფში 41.2%-ს (8.2%-ით მეტი, ვიდრე წინა წელს) შეადგენდა.

სურათი 4.29 ბრონქული ასთმის და ასთმური სტატუსის გავრცელება, საქართველო



ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების შედეგების ზოგიერთი შედეგები

2013 წელს საქართველოში ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების შედეგების კლასში აღრიცხული ახალი შემთხვევების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 5.3%-ით შემცირდა.


საანგარიშო წელს სტაციონარებიდან გავიდა 22820 პაციენტი (ლეტალობა - 1.9), მათგან აღირიცხა 5439 უბედური შემთხვევა. აქედან ტრავმების 61.4% (3342 შემთხვევა) გამოწვეული იყო სატრანსპორტო შემთხვევით, 38.6% (2097 შემთხვევა) - სხვა გარეგანი მიზეზით. განზრახ თვითდაზიანების 497 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც ყველა შემთხვევის 5%-ს შეადგენს.

თაზი 5.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა

ქალთა კონსულტაციების მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში აღრიცხვაზე 88190 **ორსული** იმყოფებოდა. უკანასკნელ წლებში აღინიშნებოდა ორსულთა ანტენატალური მომსახურებისთვის დროული მიმართვიანობის ზრდა – ორსულობის 12 კვირის ვადამდე აღრიცხვაზე აყვანილ ორსულთა წილი წინა წელთან შედარებით 72.9%-დან 78.1%-მდე გაიზარდა (სურათი 5.1). წლის განმავლობაში მეთვალყურეობიდან მოიხსნა 52787 ორსული, მათ შორის 89.1%-მა ორსულობა მიიტანა ბოლომდე, 3.3%-ში აღირიცხა თვითნებური აბორტი ორსულობის 22 კვირამდე. იმ ქალებიდან, რომლებმაც ორსულობა მიიტანეს ბოლომდე, დროულად იმშობიარა 96.7%-მა.

სურათი 5.1 ორსულობის პირველ ტრიმესტრში ანტენატალურ მეთვალყურეობაზე აყვანილ ორსულთა წილი (%), საქართველო




2013 წელს 4 და მეტ ვიზიტზე კონსულტაციებს მიმართა იმ ქალთა 84.6%-მა, რომლებმაც ორსულობა ბოლომდე მიიტანა (2012 წელს - 84.1%). ორსულების 88.9% გამოკვლეულ იქნა რეზუს-ფაქტორზე, 85.5% - სიფილისზე, 85.9% - აივ-ინფექციაზე, და 84.2% - B ვირუსულ ჰეპატიტებზე. “დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის” სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სწრაფი-მარტივი მეთოდით გამოკვლეულია 41714 ორსულის სისხლის შრავი. 1124 HBsAg დადებითი სისხლის შრავი იფა მეთოდით გადამოწმებულ იქნა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ლაბორატორიებში. გადამოწმების შედეგად 1056 ორსულის სისხლის შრავი აღმოჩნდა HBsAg დადებითი. “დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის” სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში B ჰეპატიტის იმუნოგლობულინით იმუნოზაცია ჩაუტარდა ანტიგენდადებითი დედების მიერ დაბადებულ 1051 ბავშვს. საანგარიშო წელს შემოსულ ორსულთა 9.3% გაგზავნილ იქნა C-ჰეპატიტზე ტესტირებისთვის. ანტენატალური სკრინინგი თანდაყოლილ გენეტიკურ ანომალიებზე ჩაუტარდა 3494 ქალს (5.9%).

ქალთა კონსულტაციების მონაცემებით, ორსული ქალების 8.4%-ს აღინიშნებოდა ანემია, 4.6%-ს - შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები და 2.8%-ს - ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია. საანგარიშო პერიოდში ორსულობის პათოლოგიის გამო ჰოსპიტალიზებული იყო 3572 ქალი (4%).

2013 წელს სამედიცინო დაწესებულებებმა აღრიცხეს 57505 მშობიარობა, მათ შორის 58.3% ფიზიოლოგიური, 41.7% - პათოლოგიური.
 2013 წელს საქართველოში 21478 საკეისრო კვეთა ჩატარდა. საკეისრო კვეთების რაოდენობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების დიდ ნაწილში, ზრდის ტენდენციით ხასიათდება (სურათი 5.2).


სურათი 5.2 საკეისრო კვეთების რაოდენობა 1000 ცოცხალშობილზე



წყარო: HFADB და ღკსჯეც

საქართველოში საკეისრო კვეთების მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის პირველ ადგილს იკავებს (სურათი 5.3).

სურათი 5.3 საკეისრო კვეთების რაოდენობა 1000 ცოცხალშობილზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი



წყარო: HFADB

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, საკეისრო კვეთების რაოდენობა ქვეყანაში ზოგადად და ასევე ცალკეულ სამშობიარო სახლში მშობიარობების საერთო რიცხვის 10-15%-ს არ უნდა აღემატებოდეს. საკეისრო კვეთების 10%-ზე ნაკლები რაოდენობა არასაკმარის, ხოლო 15%-ზე მეტი – გადაჭარბებულ გამოყენებაზე მიუთითებს.


ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 137 ქვეყნის მონაცემთა კვლევამ ცხადყო, რომ არასაჭირო საკეისრო კვეთები არაპროპორციულად გადაჭარბებულ ეკონომიკურ რესურსებს მოითხოვს, რაც უნივერსალურ სამედიცინო მოცვას დაბრკოლებებს უქმნის, ხოლო “დამატებით” საკეისრო კვეთებს მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგები გააჩნია ჯანდაცვის სერვისებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ისე მსოფლიოს მასშტაბით.

ამავე კვლევის ფარგლებში შეფასდა კორელაცია საკეისრო კვეთების მაჩვენებელსა და დედათა და ახალშობილთა ავადობასა და სიკვდილიანობას შორის. იმ შემთხვევაში, როდესაც საკეისრო კვეთების წილი 15%-ს აღემატება - დედათა და ახალშობილთა ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირება არ გამოვლინდა, ხოლო 5%-ზე ნაკლები წილის შემთხვევაში - აღინიშნა ნეგატიური გავლენა დედათა ჯანმრთელობაზე.

ზემოაღნიშნული კვლევის ანალიზის შედეგად, საქართველო შევიდა იმ ქვეყნების ჯგუფში, სადაც საკეისრო კვეთების გამოყენება გადაჭარბებულად ითვლება. საქართველოში საკეისრო კვეთით მიმდინარე მშობიარობების წილი 2000 წლიდან 3.8-ჯერ გაიზარდა და 2013 წელს მშობიარობათა საერთო რაოდენობის 37.3%-ს შეადგენდა.

საქართველოში მშობიარობათა საერთო რაოდენობაში საკეისრო კვეთების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევებითაც დასტურდება: კვლევებით მოცულ პერიოდში მაჩვენებელი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა (სურათი 5.4).


სურათი 5.4 საკეისრო კვეთით მიმდინარე მშობიარობების წილი (%) ყველა მშობიარობიდან კვლევების მონაცემებით, საქართველო



www.ncdc.ge

სტაციონარული დაწესებულებების მონაცემებით, *მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის გართულებებს* შორის მაღალი იყო მშობიარობის დროს შორისის ჩახვევის (5.4%), ნაყოფის არასწორი ან წინამდებარეობით გართულებული მშობიარობების (3.0%), ანემიის (2.5%), სამშობიარო მოქმედების დარღვევებით მიმდინარე მშობიარობების (2.3%) და პრეეკლამსიის და ეკლამსიის (2.1%) წილი. სამედიცინო ტრავმებით გართულებული მშობიარობების წილი, რომელიც სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასების ერთერთ ინდიკატორს წარმოადგენს, უკანასკნელი წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და 2013 წელს 5.8%-ს შეადგენდა (სურათი 5.5).


სურათი 5.5 სამიწა ტრავმებით გართულებული მშობიარობის წილი (%) მშობიარობის მთლიანი რაოდენობიდან, საქართველო



მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის ინფექციების (საკეისრო კვეთის შემდგომი პერიტონიტის ჩათვლით) სისშირე 2013 წელს 0.7%-ს შეადგენდა.

საანგარიშო წელს აღირიცხა 37018 აბორტი. 2013 წელს ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი 0.7-ს შეადგენდა (სურათი 5.6).


სურათი 5.6 ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (TIAR), საქართველო



ხელოვნური აბორტის მაჩვენებლები მაღალი იყო 20–29 წლის (აბორტის მაჩვენებელი 1000 ქალზე – 48.3) და 30–34 წლის (აბორტის მაჩვენებელი 1000 ქალზე – 57.6) ასაკობრივ ჯგუფებში. ხელოვნური აბორტების საერთო რაოდენობაში ვაკუუმ-ასპირაციით გაკეთებული აბორტების წილი 49.8%-მდე (2012 წელს – 47.3%), ხოლო მედიკამენტური აბორტების წილი 21.2%-მდე (2012 წელს – 10.1%) გაიზარდა.

საქართველოში 2009-2012 წლებში აღინიშნებოდა მოზარდთა ორსულობის მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია, თუმცა 2013 წელს მაჩვენებელი ისევ გაიზარდა და 64.7-ს მიაღწია (სურათი 5.7). დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოზარდთა ორსულობის მაჩვენებელი 15-19 წლის 1000 ქალზე 15-დან 25-მდე მერყეობს. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2-4-ჯერ მეტია.

სურათი 5.7 მოზარდთა ორსულობის მაჩვენებლები (15-19 წლის 1000 ქალზე), საქართველო, 2004 – 2013



2013 წელს აღირიცხა *დედათა გარდაცვალების* 18 შემთხვევა, მათ შორის 16 – ადრეული და 2 გვიანი. *დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი** 27.7 (მაჩვენებელი დათვლილია 16 შემთხვევაზე).

სამედიცინო დაწესებულებების მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში *ცოცხალი* დაიბადა 57688 ბავშვი (დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემებით - 57878), მათ შორის 43 - ბინაზე.

სტაციონარში დაბადებულ ცოცხალშობილთა 6.6% წონანაკლული, ხოლო 8.3% - 4000 გრამზე მეტი წონის იყო.

დაბადებიდან პირველი ორი საათის განმავლობაში ახალშობილთა კანით კანთან კონტაქტი 43107 შემთხვევაში განხორციელდა.


სამშობიარო სახლების მონაცემებით, დაბადებიდან ერთი საათის განმავლობაში ძუძუზე მიყვანილ იქნა ცოცხალშობილთა ~70%. ბავშვთა პოლიკლინიკების მონაცემებით, 3 თვის ასაკში ბუნებრივ კვებაზე იმყოფებოდა ახალშობილთა 51.4%.

სამშობიარო სახლების მონაცემებით, ცოცხალშობილთა 10.4% დაიბადა ავადმყოფი ან ავად გახდა. ავადმყოფობათა სტრუქტურაში 88.3% პერინატალურ პერიოდში

* დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თავში “ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ათასწლეულის განვითარების მიზნები”

წარმოქმნილ მდგომარეობებზე და 9.3% თანდაყოლილ ანომალიებზე მოდიოდა. თანდაყოლილი ანომალიების გავრცელების მაჩვენებელი ცოცხალშობილებში თითქმის 4-ჯერ დაბალია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის საქართველო მე-11 ადგილზეა (სურათი 5.8).

სურათი 5.8 თანდაყოლილი ანომალიების გავრცელება 100000 ცოცხალშობილზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი



ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით გათვლებით, განვითარებულ ქვეყნებში სამშობიარო მოქმედების დროს გარდაცვლილთა წილი მკვდრადშობილთა ~10%-ს შეადგენს, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის 24%-37%-ის ინტერვალში მერყეობს. საქართველო იმ ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, სადაც სამშობიარო მოქმედების დროს გარდაცვლილთა შეფასებითი წილი ~29%-ს უნდა შეადგენდეს. საქართველოში სამშობიარო მოქმედების დროს გარდაცვლილ ბავშვთა წილი 4.5%-ს შეადგენს, რაც სავარაუდოდ, აღრიცხვიანობის ხარვეზებს უკავშირდება.


ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, **ნეონატალური სიკვდილიანობა** 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის 43%-ს შეადგენს. საქართველოში ეს წილი მნიშვნელოვნად აღემატებოდა გლობალურ საშუალო მნიშვნელობებს და უკანასკნელ წლებში 62%-დან 81%-მდე მერყეობდა.

ნეონატალური სიკვდილიანობა, საქართველო


	ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე	ნეონატალურ გარდაცვალებათა წილი სუთ ფლავდე ასაკის ბავშვების გარდაცვალებათა რაოდენობაში, %	ნეონატალურ გარდაცვალებათა წილი მრთ ფლავდე ასაკის ბავშვების გარდაცვალებათა რაოდენობაში, %	აღრეული ნეონატალურ გარდაცვალებათა წილი ნეონატალურ გარდაცვალებათა რაოდენობაში, %
2007	11.8	62	84	80
2008	11.8	74	83	78
2009	12.5	81	89	72
2010	9.6	72	80	69
2011	8.5	71	77	72
2012	9.2	74	85	71
2013	8.4	70	80	80

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით ნეონატალური და აღრეული ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებლები საქართველოში შუალედურ პოზიციას იკავებს (სურათი 5.9, 5.10).

სურათი 5.9 ნონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი




სურათი 5.10 ადრეული ნონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი




უკანასკნელ წლებში ასევე დაფიქსირდა მეკოდრად შობადობის მაჩვენებლის კლება.

სურათი 5.11 მკვდრადშობადობის დინამიკა, საქართველო, 2001–2013



ბოლო ხელმისაწვდომი წლების მონაცემებით, საქართველოში მკვდრადშობადობის მაჩვენებლის მნიშვნელობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით მაღალ დონეზეა და მესუთე ადგილს იკავებს (სურათი 5.12). ამავდროულად ეს მაჩვენებელი ორჯერ აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს.

სურათი 5.12 მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 100000 დაბადებულზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი




პერინატალური სიკვდილიანობა, რომელიც მკვდრადშობადობას და ადრეულ ნეონატალურ სიკვდილიანობას მოიცავს, ინტეგრირებულ მაჩვენებელს წარმოადგენს, რომელიც ორსულთა, მშობიარეთა და ახალშობილთა სამედიცინო მომსახურების ხარისხს ახასიათებს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით გათვლებით მკვდრადშობადობაზე პერინატალური სიკვდილიანობის 50%-ზე მეტი მოდის, თუმცა მეტად მნიშვნელოვანია პერინატალური სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემადგენელი კომპონენტების ადეკვატური შეფარდება.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გათვლებით, საქართველოსთვის მკვდრადშობადობის და ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობის შეფარდება არ უნდა

აღმატებოდეს 1.2-ს, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მხოლოდ 2009 წელს დაფიქსირდა. 2010-2013 წლებში მკვდრადშობადობის და აღრეული ნეონატალური სიკვდილიანობის შეფარდება მკვდრადშობადობის მიერ რეკომენდებულ მნიშვნელობას გადააჭარბა, თუმცა საანგარიშო წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია (სურათი 5.13).

სურათი 5.13 მკვდრადშობადობის და აღრეული ნეონატალური სიკვდილიანობის შეფარდება, საქართველო, 2001–2013



0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა (მაჩვენებელი - 10.5) 0-15 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევათა 80%-ს შეადგენდა. 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზები იყო:

- პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა (67.7%);
- თანდაყოლილი ანომალიები (17.2%);
- კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებით გამოვლენილი სიმპტომები, ნიშნები და გადახრები ნორმიდან (7.0%).

ამბულატორულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების მონაცემებით, 2013 წელს **0-15 წლის ბავშვებში** რეგისტრირებული იყო ყველა კლასის ავადმყოფობათა 472663 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა – 61689.2). ინციდენტობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების კლასში (36564.5).

საანგარიშო წელს **სტაციონარიდან გავიდა** 15 წლამდე ასაკის 76986 ბავშვი. ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100000 ბავშვზე – 10047.8. ჰოსპიტალიზაციის დონე მაღალი იყო ავადმყოფობების შემდეგ კლასებში:

- სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები – 5063.0;
- ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები – 1758.3;
- პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა – 817.3.

ბავშვთა ჰოსპიტალიზაციის შემთხვევათა 33.5% ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში აღირიცხა. ამ ასაკის 100000 ბავშვზე ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 45180.7 იყო. ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში ჰოსპიტალიზაციის დონე მაღალი იყო ავადმყოფობების შემდეგ კლასებში:

- სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები – 22298.2;
- პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა – 10986.0;
- ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები – 6382.5.

2013 წელს სამედიცინო დაწესებულებების მიერ საქართველოში რეგისტრირებულია 0-15 წლამდე ასაკის ბავშვთა **გარდაცვალების** 760 შემთხვევა. შემთხვევების 91.8% სტაციონარებში აღირიცხა.

თავი 6.

ჯანმრთელობის ძირითადი დეჰერმინანტები

საქართველოს მოსახლეობის ავადობის და სიკვდილიანობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი არაგადამდებ ავადმყოფობებს უჭირავს. არაგადამდები ავადმყოფობების ტვირთი სიკვდილიანობისა და ავადობის 60%-ზე მეტს შეადგენს. ქცევითი რისკ-ფაქტორების შესახებ მონაცემები საქართველოში მხოლოდ კვლევების საფუძველზე მოიპოვება. ბოლო წლებში ქვეყანაში, სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, რამდენიმე კვლევა ჩატარდა:

- 2006-2007წ.წ. - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში;
- 2009წ. - საქართველოს ეროვნული ნუტრიციული კვლევა (GNNS-2009);
- 2009წ. - თამბაქოს, ალკოჰოლის და სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ქართველ მოსწავლეებში (ESPAD);
- 2010წ. - არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა (STEPS);
- 2000, 2005, 2010წ.წ. - ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა (GERHS);
- 2011-2012წ.წ. - მიგრანტთა ჯანმრთელობის კვლევა (MHS).

ჰიპერტენზიასთან ასოცირებული რისკ-ფაქტორები საქართველოს მოსახლეობაში*

ჰიპერტენზია მოიაზრება, როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ძირითადი რისკ-ფაქტორი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2013 წლის მონაცემებით, ყოველწლიურად 17.3 მილიონი ადამიანი იღუპება კარდიოვასკულური დაავადებებით, რომელთაგანაც 9.4 მილიონი სიკვდილის შემთხვევა სწორედ ჰიპერტენზიის გართულებებთან არის ასოცირებული. ჰიპერტენზიით არის განპირობებული გულის იშემიური დაავადებებით სიკვდილობის 45% და ინსულტით სიკვდილობის 51%. მაღალი გავრცელების გამო, ჰიპერტენზიას წამყვანი ადგილი უკავია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ავადობის სტრუქტურაშიც.

კარდიოვასკულურ დაავადებათა პრიორიტეტი არაგადამდები დაავადებების სტრუქტურაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს მაგალითზე. ამ პროფილის პათოლოგიათა ძირითადი რისკ-ფაქტორი - არტერიული ჰიპერტენზია - დღემდე რისკ-ფაქტორებთან ასოცირებული სიკვდილობის სტრუქტურაში ძირითად მიზეზად რჩება. საქართველოში ჰიპერტენზია სისხლის მიმოქცევის სხვა დაავადებებთან ერთად ხასიათდება გავრცელების მაღალი ტენდენციით. არტერიული ჰიპერტენზია ასევე უპირატესია რისკ-ფაქტორებს შორის სიკვდილობის კაზუალურ ფაქტორთა სტრუქტურაში და 48.8%-ს შეადგენს.

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში ჰიპერტენზიით ავადობა და სიკვდილობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება და ევროპის რეგიონში ჰიპერტენზიის გავრცელების მხრივ ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს. არტერიული წნევის ციფრების მიხედვით, საქართველო მოიაზრება მსოფლიოს იმ 5 ქვეყანას შორის, სადაც ეს უკანასკნელი ყველაზე მაღალია (ბაჰამა, ლესოტო, ლიბია და ა.შ.). ჰიპერტენზიის გავრცელების მხრივ საქართველო ევროპულ ქვეყნებს შორის აგრეთვე ერთ-ერთ მაღალ პოზიციაზეა (45% ქალებსა და 50% მამაკაცებში).

* ანგარიშის სრული ვერსია იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე:
<http://www.ncdc.ge/index.php?do=fullmod&mid=1054>

სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, საქართველოს პოპულაციაში ჰიპერტენზიული ავადმყოფობების ეპიდემიოლოგიური სიტუაციის სიმძიმე მნიშვნელოვნად არის განპირობებული, ერთი მხრივ, პრევენციული პრაქტიკის სისუსტით და მეორე მხრივ, ამ ნოზოლოგიის მართვის სერიოზული დეფექტებით, მათ შორის პაციენტთა დაბალი დამყოლობით მკურნალობაზე, ანტიჰიპერტენზიული პრეპარატების ხშირი ცვლითა და წყვეტილობით მკურნალობაში, მედიკამენტის დოზის ტიტრაციის ხარვეზებით.

2010 წელს საქართველოს მასშტაბით განხორციელებული არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორთა კვლევით ასევე გამოვლინდა ჰიპერტენზიის მქონე პირთა დამოკიდებულება რეგულარული ანტიჰიპერტენზიული მკურნალობის მიმართ და აღმოჩნდა, რომ საქართველოში ჰიპერტენზიის მქონე პირებიდან 60.1% არ იტარებდა ანტიჰიპერტენზიულ მკურნალობას.

არტერიული ჰიპერტენზიის მედიკამენტური მკურნალობა*

გამოკვლეულნი	არტერიული წნევა 140/90 მმ.ჰგ.ს.ს. და/ან იმყოფება ანტიჰიპერტენზიულ მკურნალობაზე	არ მკურნალობს
სულ	33.4%	60.1%
მამაკაცი	37.1%	73.2%
ქალი	29.5%	46.4%

არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების კვლევა საქართველოში ჩატარდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის STEPS-ის მეთოდოლოგიის სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენებით. კვლევის მიზანი იყო არაგადამდები დაავადებების ქცევითი და ბიოლოგიური რისკ-ფაქტორების გავრცელებისა და თავისებურებების შესწავლა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 18–დან 64 წლამდე 6497-მა მოქალაქემ. რეპრეზენტატიული მონაცემების მისაღებად გამოყენებული იქნა მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის დიზაინი.

2013 წელს განხორციელდა 2010 წელს ჩატარებული არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების კვლევის STEPS-ის მონაცემთა მეორადი ანალიზი. ანალიზის მიზანი იყო საქართველოს ზრდასრულ პოპულაციაში ჰიპერტენზიასთან დაკავშირებული რისკული ქცევისა და სამიზნე პოპულაციის გამოვლენა ქცევითი რისკ-ფაქტორების შეცვლაზე ორიენტირებული ეფექტური ინტერვენციების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით.

არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების კვლევის STEPS მონაცემთა ბაზის მეორადი ანალიზი განხორციელდა ბივარიაციული და მულტივარიაციული კვლევის მეთოდოლოგიით. აღწერილობითი ანალიზით თითოეული ცვლადისთვის დათვლილ იქნა პრევალენტობა. ბივარიაციული ანალიზით მოხდა პრევალენტობის თანაფარდობის როგორც მთლიანი, ასევე ასაკის მიხედვით სტრატეფიცირებული (<45 და >45 წლის) მაჩვენებლების გამოთვლა. ფაქტორთა შორის არსებული ასოციაციის სტატისტიკური სარწმუნოების დასადგენად გამოყენებულ იქნა 95 პროცენტის სარწმუნოების ინტერვალი, პირსონის ხი-კვადრატის ტესტი და სტიუდენტის t ტესტი. კარდიოვასკულურ დაავადებათა 10 წლიანი რისკის გამოთვლა მოხდა ფრემინგემისა და SCORE რისკის სკალის მიხედვით. მონაწილეთა ასაკის, თამბაქოს მოხმარების სტატუსის, საერთო ქოლესტეროლის დონისა და სისტოლური წნევის მონაცემებზე დაყრდნობით, დათვლილ იქნა ქულები და მათი შესაბამისი რისკის მაჩვენებლები.

* დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. „არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორთა კვლევა - STEPS 2010“

ვინაიდან კვლევის ფარგლებში არ მოხდა მაღალი სიმკვრივის ქოლესტეროლის (HDL) გაზომვა, ფრემინგემის რისკის სკალით გამოანგარიშებაში მიღებულ იქნა დაშვება, რომელიც ითვალისწინებდა HDL-ის პირობით დონეს მამაკაცებისათვის 1.1 მმოლი/ლ და ქალებისათვის 1.4 მმოლი/ლ-ს, რაც ორივე სქესისათვის HDL-ის საუკეთესო მაჩვენებლად არის მიჩნეული. შესაბამისად, ფრემინგემის სკალით გამოთვლილი რისკი აღნიშნული დაშვების გამო შესაძლოა გაცილებით დაბალი ყოფილიყო, ვიდრე სინამდვილეში.

ჰიპერტენზიასა და პოტენციურ რისკ ფაქტორებს შორის ასოციაციის მულტივარიაციული ანალიზი განხორციელდა პუასონის რეგრესიის გამოყენებით. მულტივარიაციული ანალიზით გამოთვლილ იქნა შესწორებული პრევალენტობის თანაფარდობის და სარწმუნოების ინტერვალის მაჩვენებლები. საწყის მოდელში შევიდა ჰიპერტენზიასთან პოტენციურად ასოცირებული ყველა ცვლადი ($p < 0.15$). დამაბნეველი ფაქტორის და ეფექტ მოდიფიკატორის გამოსავლენად გამოყენებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები: (1) ეფექტის მოდიფიკატორი - სტატისტიკურად არასარწმუნო ასოციაცია ($p \geq 0.15$) წამყვან ბიოლოგიურ რისკ ფაქტორთან - მომატებული წონა (სხეულის მასის ინდექსი (სმი) - 25) და (2) დამაბნეველი ფაქტორი - პრევალენტობის თანაფარდობების $>10\%$ -ით ცვლილების გამოწვევა. გამოყენებული კრიტერიუმებით ასაკი გამოვლინდა როგორც მნიშვნელოვანი ეფექტ მოდიფიკატორი, ხოლო დამაბნეველი ფაქტორი არ გამოვლენილა, რისი გათვალისწინებითაც შეფასდა პრევალენტობის თანაფარდობის მაჩვენებლები სრულ და ასაკის მიხედვით (45 წელი გამყოფი ზღვარი) სტრატეფიცირებულ მოდელში. საბოლოოდ შეიქმნა ერთი სრული მოდელი და ორი, ასაკის მიხედვით სტრატეფიცირებული მულტივარიაციული მოდელი.

ცვლადების განმარტება:

არტიმერიული ჰიპერტენზია: სისტოლური წნევის მაჩვენებელი ≥ 140 მმ.ვწყ.სვ. ან/და დიასტოლური წნევის მაჩვენებელი ≥ 90 მმ.ვწყ.სვ. ან/და პირი ამჟამად იღებს ჰიპერტენზიის საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებებს (მიმართავს თვითმკურნალობას ან/და იღებს ექიმის მიერ დანიშნულ პრეპარატს).

თამბაქოს მოხმარება: ამჟამად მოიხმარს თამბაქოს პროდუქტებს, როგორცაა სიგარეტი, სიგარა, ჩიბუხი.

ალკოჰოლის ჭარბი მიღება: კაცები, რომელთაც მიიღეს 5 ან მეტი ქალები, რომელთაც მიიღეს 4 ან მეტი სტანდარტული დოზა უკანასკნელი 30 დღიდან რომელიმე დღეს.

ხილისა და ბოსტნეულის დაბალი მოხმარება: ტიპური კვირის განმავლობაში ხილის დღიური ულუფა < 2 და ბოსტნეულის დღიური ულუფა < 3 .

დაბალი ფიზიური აქტივობა: კვირაში < 1500 მეტ-წუთი.

წონის დარღვევა სხეულის მასის ინდექსის მიხედვით: ჭარბი წონა (სმი ≥ 25) და სიმსუქნე (სმი ≥ 30).

წონის დარღვევა ფელისა და თამოს გარშემოწერილობის თანაფარდობის მაჩვენებლის მიხედვით: WHR ≥ 0.80 ქალებში და WHR ≥ 0.95 კაცებში.

გლუკოზის მომატებული მაჩვენებელი სისხლში: უზმოზე ≥ 110 მგ/დლ.

საერთო ქოლესტეროლის მაჩვენებელი სისხლში: ≥ 190 მგ/დლ.

ტრიგლიცერიდების მოგატეხული მაჩვენებელი სისხლში: ≥ 150 მგ/დლ.

ქრონიკული დაავადებების ოჯახური ისტორია: დედას, მამას ან და-ძმას დაუდგინდა მაღალი არტერიული წნევა, დიაბეტი, ინსულტი, სიმსივნური დაავადება, ჰიპერქოლესტერინემია, მიოკარდიუმის ინფარქტი ახალგაზრდა ასაკში.

შეზღუდვები:

- კვლევის ფარგლებში არ მოხდა ინფორმაციის შეგროვება ჰიპერტენზიის ზოგიერთ რისკ ფაქტორზე (მარილის ჭარბი მოხმარება, პერმანენტული ფსიქოემოციური სტრესები) და თანხლებ დაავადებებსა და მდგომარეობებზე (მენოპაუზა, თირკმლის პათოლოგიები, კუშინგის სინდრომი, სისტემური წითელი მგლურა, მედიკამენტებით ინდუცირებული ჰიპერტენზია).
- კვლევა არ მოიცავდა ისეთი ბიოქიმიური მაჩვენებლების შესწავლას, როგორცაა დაბალი და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები, გლიკოზირებული ჰემოგლობინი და სხვა.
- ანალიზში გამოირიცხა ქრონიკული დაავადების მქონე პირები.
- ეროვნული კვლევის ჯვარედინ-სექციური მეთოდოლოგიის გათვალისწინებით შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მიმართულების განსაზღვრა.
- კვლევაში არ მონაწილეობდნენ 64 წელს ზევით ასაკის პირები.
- მონაცემთა ბაზაში დიდი რაოდენობით გამოტოვებულია ინფორმაცია მონაწილეთა ქცევით და ბიოქიმიურ რისკ ფაქტორების ცვლადებზე.

შედეგები

- **ჰიპერტენზიის მაღალი გავრცელება და მკურნალობის დაბალი მაჩვენებელი:** კვლევამ, რომლის ანალიზიც არ მოიცავდა სხვა ქრონიკული დაავადების (მ.შ. დიაბეტი, ინსულტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებები) მქონე პირებს, გამოავლინა, რომ მონაწილეთა თითქმის 40%-ს აღენიშნებოდა ჰიპერტენზია და მათგან 38% არ იტარებდა რეგულარულ ანტიჰიპერტენზიულ თერაპიას.
- **ასაკი ჰიპერტენზიის რისკების მთავარი მოდიფიკატორი:** კვლევით გამოვლინდა, რომ ასაკი მნიშვნელოვანი ეფექტ-მოდიფიკატორია, რომლის გათვალისწინებითაც მნიშვნელოვნად იცვლება როგორც სოციალურ-ეკონომიური დეტერმინანტების, ასევე ქცევითი და ბიოლოგიური რისკ ფაქტორების როლი არტერიული ჰიპერტენზიის განვითარებაში. ასაკთან ერთად სხვა სოცო-დემოგრაფიულ და ბიო-ქცევითი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით იზრდება ჰიპერტენზიის რისკი ორივე სქესის წარმომადგენლებში. 45 წელი მნიშვნელოვანი გამყოფი ზღვარია ჰიპერტენზიასთან ასოცირებული ბიოლოგიური და ქცევითი რისკების მნიშვნელობის თვალსაზრისით. 45 წლის და ზემოთ ასაკობრივ პოპულაციაში სხვა დემოგრაფიული და ქცევითი რისკ ფაქტორების გათვალისწინებით ჰიპერტენზიის რისკი ორმაგდება (Adjusted PRR=**2.27** 95% CI (2.02; 2.5) P<0.000).

- **ჰიპერტენზიის გავრცელების გენდერული თავისებურებები:** მამაკაცებში ჰიპერტენზიის გავრცელება მატებას იწვევს ქალებთან შედარებით დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში. შესაბამისად, ჰიპერტენზიის განვითარების რისკის გენდერული სხვაობა, სხვა რისკ ფაქტორების გათვალისწინებით, მხოლოდ 45 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდა. კერძოდ, სხვა დემოგრაფიული და ქცევითი რისკ ფაქტორების გათვალისწინებით, ახალგაზრდა კაცებში რისკი მაღალია ამავე ჯგუფის ქალებთან შედარებით (Adjusted PR=1.43 95% CI: 1.16-1.75 P<0.001).
- **სოციალურ-ეკონომიური დეტერმინანტების როლი ჰიპერტენზიის გავრცელებაში:** კვლევით გამოვლენილი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური დეტერმინანტები: საცხოვრებელი ადგილი და კომლის შემოსავალი. ჰიპერტენზიის რისკი მაღალი იყო რეგიონების მაცხოვრებლებში (PR=1.16 95% CI: 1.03-1.31 P<0.016) და დაბალი შემოსავლების მქონე პირებში (PR=1.10 95% CI: 1.01-1.21 P<0.041). საინტერესოა ფაქტი, რომ ასაკობრივი სტრატეფიკაციით ახალგაზრდებში სტატისტიკურად სარწმუნო აღმოჩნდა საცხოვრებელი ადგილის ასოციაცია ჰიპერტენზიასთან (PR=1.65 95% CI: 1.26-2.17 P<0.000), მაშინ როდესაც 45 წლის და ზემო ასაკის პირებში ერთადერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი კომლის შემოსავალი იყო (PR=1.14 95% CI: 1.04-1.27 P<0.008).
- **ჭარბი წონა ჰიპერტენზიის ერთ-ერთი წამყვანი რისკ ფაქტორი:** ანთროპომეტრიული მონაცემები, როგორცაა სხეულის მასის ინდექსი (სმი) და წელისა და თეძოს გარშემოწერილობის თანაფარდობა, ჰიპერტენზიის ერთერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი აღმოჩნდა. ორივე ინდიკატორის მიხედვით მაღალი იყო ჰიპერტენზიის რისკი ჭარბი წონისა და სიმსუქნის მქონე პირებში. აღსანიშნავია, რომ 45 წლამდე ასაკის ჭარბწონიან პირებში რისკი ორჯერ მაღალია ამავე ასაკის ნორმალური წონის მქონე პირებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ 45 წლამდე ასაკის ჭარბწონიან პირებში რისკი ორჯერ მაღალია ამავე ასაკის ნორმალური წონის მქონე პირებთან შედარებით (PR=2.09 95% CI: 1.68-2.58<0.000). ჰიპერტენზიასთან მიმართებაში სხეულის მასის ინდექსი უკეთესი განმსაზღვრელი ფაქტორი აღმოჩნდა, წელისა და თეძოს გარშემოწერილობასთან შედარებით, ორივე ასაკობრივ ჯგუფში.
- **მეტაბოლური ფაქტორების როლი და ასაკობრივი თავისებურებები:** ბიოქიმიური მაჩვენებლები, როგორცაა გლუკოზა, საერთო ქოლესტეროლი და ტრიგლიცერიდები ასევე მნიშვნელოვანი პრედიქტორი იყო ჰიპერტენზიისათვის. თუმცა გამოვლინდა ბიოქიმიური ფაქტორების ჰიპერტენზიასთან ასოციაციის ასაკობრივი თავისებურება. კერძოდ, 45 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მნიშვნელოვანი იყო სამივე მაჩვენებელი, მაშინ როდესაც 45 წლის ზემო ასაკობრივ ჯგუფში მხოლოდ სისხლში გლუკოზის დონე გამოვლინდა, როგორც მნიშვნელოვანი პრედიქტორი (PR=1.13 95% CI: 1.02-1.25 P<0.017).
- **ქრონიკული დაავადებების ოჯახური ისტორია ჰიპერტენზიის ერთ-ერთი წამყვანი რისკ ფაქტორი:** ქრონიკული დაავადებების დიაგნოზი ოჯახურ ანამნეზში ჰიპერტენზიის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრედიქტორი აღმოჩნდა როგორც ზოგადად, ასევე ასაკის მიხედვით სტრატეფიცირებულ ჯგუფებში. კერძოდ, მონაწილეებში, რომელთა პირველი რიგის ნათესავებს დაესვათ ქრონიკული დაავადების დიაგნოზი (მ.შ. ჰიპერგლიკემია ან დიაბეტი, მაღალი არტერიული წნევა, ინსულტი, სიმსივნე, ჰიპერქოლესტერინემია, ახალგაზრდა ასაკში მიოკარდიუმის ინფარქტი) გაცილებით მაღალი იყო ჰიპერტენზიის რისკი (PR=1.27 95% CI: 1.15-1.40 P<0.000).

- **თამბაქოს და სხვა ქცევითი რისკ ფაქტორების როლი ჰიპერტენზიის გავრცელებაში:** კვლევის შედეგების თანახმად, ქცევით რისკ ფაქტორებს შორის მხოლოდ თამბაქო და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება აღმოჩნდა ასოცირებული ჰიპერტენზიასთან. საინტერესოა თამბაქოს ამჟამად მოხმარების სტატუსის საპირისპირო გავლენა ჰიპერტენზიის გავრცელებაზე 45 წლამდე, 45 წლის და ზემო ასაკობრივ ჯგუფში. თამბაქოს ამჟამად მოხმარებელ ახალგაზრდებში 14-ჯერ მაღალი იყო ჰიპერტენზიის რისკი არა მოხმარებლებთან შედარებით, მაშინ როდესაც უფროსი ასაკის ჯგუფში პირიქით, მოხმარებლებში რისკი უფრო დაბალი იყო (**PRR=0.76 95% CI (0.69 -0.85)**). ბივარიაციული ანალიზით ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება სტატისტიკურად სარწმუნო იყო მხოლოდ 45 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, სადაც ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მოხმარებლები იმყოფებოდნენ ჰიპერტენზიის 1.28-ჯერ მაღალი რისკის ქვეშ, ვიდრე სხვები (**PRR=1.28% CI (1.08-1.51)**).
- **კარდიოვასკულურ დაავადებათა 10 წლიანი რისკი ფრემინგემის რისკის სკალის მიხედვით:** მონაწილეთა 11% (589) მომავალი 10 წლის განმავლობაში იმყოფებოდა კარდიო-ვასკულურ დაავადებებით ავადობის მაღალი რისკის ქვეშ (რისკი > 20%), 17% (915) - საშუალო (რისკი 10-20%) და 72% (3858) - დაბალი რისკის ქვეშ (რისკი < 10%).
- **კარდიოვასკულურ დაავადებათა 10 წლიანი რისკი SCORE რისკის სკალის მიხედვით:** კვლევაში მონაწილეთა 14.8% უახლოესი 10 წლის განმავლობაში იმყოფებოდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილობის მაღალი რისკის (რისკი > 5%) ქვეშ, 82.9% - საშუალო (რისკი 1-4%) და მხოლოდ 2.3% - დაბალი რისკის (რისკი < 1%) ქვეშ.

დასკვნები და რეკომენდაციები:

- საქართველოში, სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, მაღალია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით ავადობისა და სიკვდილობის მაჩვენებლები. აღნიშნული დაავადების მკურნალობასთან ასოცირებული მაღალი ხარჯების გამო დიდია აღნიშნული დაავადებებით გამოწვეული ეკონომიკური ტვირთიც. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციის უმთავრეს სტრატეგიას წარმოადგენს რისკის მქონე პირების ადრეული გამოვლენა და ამ პირებში რისკის სწორი მენეჯმენტი. პერსონალური კარდიოვასკულური რისკის განსაზღვრა განსაკუთრებით ღირებულია პროგნოზის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ე.წ. ასიმპტომურ პირებში არადიაგნოსტირებული დაავადებისა და რისკ-ფაქტორების გამოვლენისას.
- ჰიპერტენზია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წამყვანი რისკ ფაქტორია მსოფლიოში. მაღალი შემოსავლების ქვეყნებში ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ ჰიპერტონული დაავადებისა და მისი რისკ ფაქტორების დროული გამოვლენითა და მკურნალობით, ასევე ჯანმრთელობის ხელშეწყობის სწორი პოლიტიკის განხორციელებით შესაძლებელია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილიანობის ეტაპობრივი შემცირება.
- ყოველივე ზემოთ თქმულისა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია:
- არტერიული ჰიპერტენზიის სკრინინგის გააქტიურება განსაკუთრებული რისკის პოპულაციებში. მემკვიდრული დატვირთვის მაღალი ასოციაციის გამო, ჰიპერტენზიის განვითარების მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით დატვირთული ოჯახური ანამნეზის მქონე პირების შთამომავლობაში, განსაკუთრებით იუვენალურ ასაკში, ჰიპერტენზიის რისკის

გამოვლენა, მასთან დაკავშირებული სარისკო ქცევების შეფასების გზით. კვლევით გამოვლენილი ინდივიდუალური რისკ ფაქტორები:

- ჭარბი წონა (სმი 25);
- მომატებული წელისა და თეძოს გარშემოწერილობების თანაფარდობა (WHR 0.85 ქალებში და WHR 0.95 მამაკაცებში);
- ჰიპერგლიკემია (უზმოზე 110 მგ/დლ);
- ჰიპერტრიგლიცერიდემია (150 მგ/დლ);
- გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების ოჯახური ანამნეზი;
- თამბაქოს მოხმარება;
- ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მოხმარება (კაცები - 5 ან მეტი და ქალები - 4 ან მეტი სტანდარტული დოზა 30 დღის მანძილზე).

➤ ჰიპერტენზიული ავადმყოფობების პრევენციის გაძლიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი რისკის პოპულაციაში, როგორცაა რეგიონებში მაცხოვრებელი 45 წლამდე ასაკის მამაკაცები. აუცილებელია ჯანმრთელობის ხელშეწყობის (საგანმანათლებლო, ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ქცევითი რისკ-ფაქტორების მოდიფიცირების მიზნით) ინტერვენციების განხორციელება 45 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში კვლევით გამოვლენილი ჰიპერტენზიასთან ასოცირებული სარისკო ქცევების, როგორცაა: თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლის ჭარბი მიღება და ასევე ჭარბ წონასთან ასოცირებული სარისკო ქცევების დროული პრევენცია და კორექცია.

➤ ჰიპერტენზიული ავადმყოფობების მართვის (მენეჯმენტის) გაუმჯობესება 45 წლის ზემო პოპულაციაში, რისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება დამატებითი კვლევის განხორციელება 45 წლის ზემო პოპულაციაში ჰიპერტენზიისა და მისი რისკების მართვის ცოდნის, შეხედულებებისა და პრაქტიკის შესაფასებლად, რათა გამოვლინდეს დაავადების მართვის არსებული ხარვეზები და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები მოსახლეობის განათლების, პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერებისა (მაგ.: ჯანდაცვის სპეციალისტების ტრენინგები, უკეთესი გაიდლაინები, სხვ.), თუ მედიკამენტებზე და ჯანდაცვის სერვისზე (მაგ.: განსაკუთრებით რეგიონულ სამედიცინო დაწესებულებებში ჰიპერტენზიისა და მისი რისკ-ქცევების მართვაზე კონსულტაცია, ლიპიდებისა და გლუკოზის ლაბორატორიული კვლევები, სხვ.) ხელმისაწვდომობისა და მიმართვიანობის გაუმჯობესების კუთხით.

➤ ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიის სრულყოფისა და ეფექტური ინტერვენციების შემუშავების მიზნით ქცევით რისკ-ფაქტორებზე ზედამხედველობის დანერგვა და კვლევის ინსტრუმენტების დახვეწა. მეორადი ანალიზით გამოიკვეთა ქცევითი რისკების შეფასების მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები და კვლევის ინსტრუმენტებსა და მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ქცევითი რისკ ფაქტორების შემდგომი კვლევის განხორციელებამდე მიზანშეწონილია:

- კვლევის ინსტრუმენტებში ქცევით რისკებზე, განსაკუთრებით კი ფიზიკურ აქტივობისა და კვების შემაფასებელ კითხვებში მტკიცებულებებზე დაფუძნებული შესწორებების შეტანა წინასწარი ლიტერატურული მიმოხილვისა და თვისობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით;
- კვლევაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სხვა რისკ ფაქტორების შეფასების დამატება, მაგალითად, ისეთის, როგორცაა: მარილის მოხმარება, სისხლში მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების შესწავლა, სტრესის შეფასება, სხვ. ამათგან გულ-სისხლძარღვთა დაავადების სხვა მნიშვნელოვანი ჰიპერტენზიის განვითარების ქცევითი რისკების მხრივ,

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვებით ქცევაში სუფრის მარილის მიმართ დამოკიდებულება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში გულის კორონარული დაავადების ინციდენტების, ინსულტისა და სხვა კარდიოვასკულურ პათოლოგიათა 15% ასოცირებულია მარილის ჭარბ მოხმარებასთან, მ.შ. სიკვდილის შემთხვევათა დიდი ნაწილი ფიქსირდება დაბალი შემოსავლების ქვეყნებში. მარილის მოხმარების პოპულაციური მაჩვენებლის არარსებობის მიუხედავად, 1996–2012 წლებში ეპიდემიოლოგიური კვლევების შედეგებით, საქართველოს მოზრდილი პოპულაციის დაახლოებით 60%-ს აქვს სუფრის მარილის ჭარბი მოხმარების ჩვევა. პრევენციული ინტერვენციების გააზრებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი, როგორცაა ქვეყნის სხვადასხვა პოპულაციურ ჯგუფებში ფსიქოსომატური მახასიათებლები შფოთვისა და დეპრესიის სახით. აღნიშნული სიმპტომო კომპლექსი განიხილება, როგორც დამოუკიდებელი კარდიოვასკულური რისკ-ფაქტორი და ასევე მნიშვნელოვანი ბარიერი ქრონიკული დაავადებების მართვისას.

თავი 1.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ათასწლეულის განვითარების მიზნები

ცხრილი 1.1 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო, 2003-2013

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
აჭარა	21.0	21.9	25.1	21.1	20.9	15.5	12.8	10.2	11.9	10.0	9.0
თბილისი	31.9	28	28.4	29.6	21.1	24.6	21.5	16.9	15.7	17.4	17.4
პასეთი	9.7	13.5	8.2	9.1	7.8	7.4	9.5	8.8	6.5	4.1	5.8
იმერეთი	17.2	21.6	20.0	19.9	19.4	17.0	19.1	19.6	17.1	18.6	16.4
სამეგრელო	9.1	6.9	6.8	6.7	5.9	2.7	4.0	3.9	4.5	3.6	3.1
შიდა ქართლი	17.6	14.1	8.5	8.2	5.8	3.1	9.1	9.1	3.6	3.4	3.8
ქვემო ქართლი	5.7	8.0	5.5	5.9	5.4	3.7	5.5	7.7	5.2	4.8	3.7
გურია	10.3	12.3	5.6	12.4	7.9	3.1	1.8	1.8	4.2	8.7	5.5
სამცხე – ჯავახეთი	8.5	9.0	7.5	7.2	3.9	5.9	7.8	8.2	3.1	2.1	3.8
მცხეთა – მთიანეთი	6.6	11.7	7.1	9.1	6.6	6.3	5.7	2.3	0	0	5.3
რაჭა – ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	8.4	10.8	0	0	8.1	0	0	13.3	13.0	17.5	0
საქართველო	20.3	20.1	19.4	19.7	15.6	16.0	15.4	13.4	12.0	12.4	12.0

ცხრილი 1.2 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო, 2003-2013

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
მამრობითი	30.1	27.3	20.8	16.9	15.2	19.0	18.0	14.3	15.8	16.3	14.5
მდედრობითი	24.8	25.4	21.4	17.0	13.6	18.0	15.0	11.0	11.5	12.4	11.5
ორივე სქესი	27.6	26.4	21.1	16.9	14.4	18.0	16.0	13.0	13.8	14.4	13.0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.3 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო, 2003-2013

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
აჭარა	18.0	21.4	23.0	20.7	19.1	15.0	12.0	9.0	10.6	8.4	7.8
თბილისი	28.8	24.7	26.5	27.6	18.6	22.0	20.0	15.0	14.7	15.2	15.4
პასეთი	9.7	11.8	7.2	8.4	7.9	7.4	8.7	7.5	4.5	3.6	5.0
იმერეთი	17.2	19.7	19.7	18.8	18.8	15.0	19.0	19.0	16.4	17.4	15.5
სამეგრელო	9.1	5.7	6.5	6.5	5.7	2.2	3.6	3.7	4.0	2.3	1.6
შიდა ქართლი	16.5	13.4	8.6	7.1	5.4	3.1	8.7	8.0	3.6	3.1	3.2
ქვემო ქართლი	4.8	7.3	5.2	5.2	4.9	2.8	3.3	4.1	3.7	3.3	2.3
გურია	8.5	7.8	5.6	10.1	10.1	2.1	1.8	1.8	4.2	7.6	3.3
სამცხე – ჯავახეთი	6.6	8.6	6.6	6.3	2.9	5.9	7.3	6.4	2.6	1.6	3.3
მცხეთა – მთიანეთი	6.6	10.0	7.1	9.1	2.2	6.3	5.7	2.3	0	0	2.7
რაჭა – ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	8.4	10.8	0	0	8.1	0	0	13.0	13.0	17.5	0
საქართველო	18.5	18.0	18.1	18.4	14.1	14.3	14.1	12.0	11.0	10.8	10.5

ცხრილი 1.4 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო, 2003-2013

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
მამრობითი	26.8	24.4	19.5	15.6	14.4	17.0	17.0	12.5	13.9	14.1	12.6
მდედრობითი	22.4	23.0	19.8	15.9	12.1	17.0	13.0	9.8	10.2	10.9	9.4
ორივე სქესი	24.8	23.8	19.7	15.8	13.3	17.0	14.9	11.2	12.1	12.6	11.1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 1.5 0-5 წლამდე, 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა და ნეონატალური სიკვდილიანობის შეფასებითი მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე, საქართველო, 2003-2013

	1990	1995	1998	2002	2004	2006	2008	2010	2011	2012	2013
0-5 წლამდე	47.4	43.9	39.4	30.9	26.5	22.6	19.2	16.4	15.2	14.1	13.1
0-1 წლამდე	40.6	37.8	34.2	27.2	23.5	20.1	17.1	14.6	13.5	12.6	11.7
ნეონატალური	28.2	26.6	24.6	20.4	18.0	15.8	13.7	12.0	11.2	10.4	9.8

წყარო: UN-IGME¹

ცხრილი 1.6 12-23 თვის ასაკის ბავშვთა წითელას საწინააღმდეგო აცრით მოცვა (%), საქართველო, 2003-2013

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
აჭარა	91.4	93.5	94.0	92.2	93.8	86.7	68.9	98.5	98.1	90.8	94.3
